ოლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

კომუნისტი

წელიწადი მესამე

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველს პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 172 შაბათი 28 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 172

დ ღ ი უ რ ი

— გერმანიის სამრეწველო ცენტრებში მუშები ძლიერ აღელვებული არიან მარკის კატასტროფიული დაცემით.

— ფრანკფურტში გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაციები. მოხდა შეტაკება პოლიციასთან.

— იაპონიის საზოგადოებრივი წრეები დაჟინებით მოითხოვენ ს. ს. რ. კ. ცნობას და მასთან ურთიერთობის აღდგენას.

— პოლონეთში გაფიცვები გრძელდება.

— უკანასკნელათ მიღებულ ცნობებით საბერძნეთში გადატრიალება მოხდა

— ამავე ცნობით სამხრეთ-სლავიაში რევოლიუციამ იფეთქა.

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

ქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—48.

ისტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000.000 მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000 „
ერთი ეგზემპლიარი	100.000 „
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ"-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით	500.000 „

ტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის ოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 8—4

ბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ რმიელთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ნახმად თბილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა, ალება საბჭოს ყველა წევრებს 10 აგვისტომდე აუცილებ- ად გამოცხადდენ აღმასკომის სამდივნოში და ჩაეწერონ რომელიმე სექციაში სამუშაოთ.

სექციაში სამუშაოთ ჩაწერა სავალდებულოა:

. 639 4—2

პრეზიდიუმი.

ნტისარწმუნოებრივი კამპანია საქართველოში

საქართველოში ანტისარწმუნოე- ივი მოძრაობის განვითარებას სა- ოთა ხელისუფლების მტრები ხსნიან მთავრობის ძალდატანებით და ოგორც შინ, ისე საზღვარგა- ეთ ათასგვარ ჭორებს ავრცე- ებენ იმის შესახებ, რომ ვითომ ლესია და სამღვდელოება ჩვენში ვნას განიცდის და იატაკ ქვეშ ის ჩადენილი.

ისინი ვერ შერიგებიან იმ აზრს, მ გაბატონებული კლასების ერთ- ლი მსახურის და დარაჯის, საუ- ნოებრივი ტრადიციებით განმტკი- ებული ეკლესიის ძალა გავლენა ერთბაშად დაეცა და მშრომელთა რთო მასები რელიგიური ცრუ- წმუნოებიდან განთავისუფლდენ.

ცხოვრების სინამდვილეს ისინი ან- რიშს არ უწევენ და ყვე- ფერს საბჭოთა მთავრობის ბო- ოტმოქმედებით ხსნიან. მოუ- გომლად საკითხის განხილვით ინი თავს არ იწუხებენ, მოძრაობის ბიექტიური მიზეზების გამორკვევას ჭიროთ არ სცნობენ. ფაქტები, სი- მდვილე და ისტორია მათ წინაღ- დეგ ლაპარაკობენ და, რასაკვირვე- ია, ისინი ყოველივე ამას გაურბიან.

თორემ ვინც მიუდგომლად მოინ- იებს იმ დიდ ისტორიულ მოძრაო- ს გაცნობას, რომელსაც ეწოდება ტირელიგიური მოძრაობა საქარ- ელოში, დარწმუნდება, რომ ნია- გი ამ მოძრაობის განვითარების- ის დიდი ხანია მზადდებოდა მშრო- ლი ხალხის ფართო წრეებში. თუ მოძრაობამ და ბოლოს სტიქიური სიათი მიიღო, ამაში გასაკვირალი აფერია.

რევოლიუციონური მოძრაობის საწყისშივე აშკარად სჩანდა ღა- ბი გლეხობის და მუშათა კლასის მაყოფილება და მტრული გან- ობილება ეკლესიისა და სამღვდე- ებისადმი. 1905 წელში რევოლი- ციონურ მოძრაობის ზრდასთან თად ყველასთვის ნათელი ხდებო- ხამღვდელოების მოღვაწეობის ლი ზრახვები: გლეხობა გრძნობ- , რომ განმათავისუფლებელი მოძ- ობა მას „სულიერ მამათა" მყვლე- ლობისაგანაც გაანთავისუფლებდა სხვათა შორის ამ მოსაზრებითაც რგიულად უჭერდა მხარს რევო უციონურ მოძრაობას. სამღვდელო- ის და ეკლესიების შემოსავალმა ლო, ეკლესიები თანდათან დაცა- ლდენ და რომ რევოლიუციონუ- მოძრაობის განვითარება იმავე მით წასულიყო, სამღვდელოების გავლენა სრულებით დაეცემო- [illegible]

მაგრამ 1905 წლის რევოლიუციის მარცხებამ ისევ ფეხზე წამოაყენა ოგია და მით მოვაჭრე სამ- ელოება. აქ ერთხელ კიდევ აშ- გახდა სამღვდელოების კავში- გაბატონებულ კლასებთან და ერ-რევოლიუციონურ ძალებთან. ენის ერთგული დარაჯი გამოდ- ძველი დახავსებული წესწყობი- , სამღვდელოება წყევლა კრუ- თ იხსენიებდა 1905 წლის განმა- ისუფლებელ დიად სახალხო მოძ- ას და მის მოღვაწეებს.

ვდელოების ძალა-გავლენა მე- მთავრობისა და პოლიციის და- ებით დროებით გარეგნულათ ც აღდგენილ იქნა რეაქციის ებში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნა- მის საბოლოო და სამუდამო გა- ერებას და განმტკიცებას. დაუ- ბული ისტორიის მიერ განწირუ- წოდების და რელიგიის საბოლოოთ ფეხზე წამოყენება არავის შეეძლო და ეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

საკმაო იყო ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილ სხივებს შემოენათებიათ საქართველოში, რომ ანტისარწმუნოებრივ კამპანიას ფართო ხასიათი მიეღო, ეკლესია და სამღვდელოება ისტორიულ არქივს გადასცემოდა. მიმდინარე წლის დასაწყისში ამ მოძრაობამ სტიქიური ხასიათი მიიღო, ანტირელიგიური მოძრაობის ტალღები ქალაქიდან სოფელში გადადიოდა და იქ თანდათან ძლიერდებოდა. როდესაც მოძრაობა სტიქიურ ხასიათს ღებულობს, აქ რასაკვირველია შეიძლება ჰქონდეს ადგილი გადაჭარბებას, გატაცებას და მთელი მასის სულისკვეთებისთვის ანგარიშის არ გაწევას. მაგრამ ამით საქმე არ იცვლება, ამით სარწმუნოების ძალა-გავლენის მოტრფიალენი თავს ვერ იმართლებენ, ისტორიის მიერ განწირული ინსტიტუტის, ეკლესიის პრესტიჟს და სახელს ვერ აღადგენენ. სტიქია გაივლის, დეფექტები, სადაც ასეთებს ქონდა ადგილი, გამოსწორდება, მოძრაობა მიიღებს ორგანიზაციულ სისტემატიურ ხასიათს.

მოძრაობის დასაწყისშივე პარტია მოუწოდებდა მასებს სიფრთხილისკენ და თავდაჭერილობისაკენ. პარტიის ცენტრალური ორგანოები ანგარიშს უწევდენ იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია მთელი მასის აზროვნების ერთბაშად გარდაქმნა, სარწმუნოებრივი შეხედულებებიდან მისი სავსებით განთავისუფლება. საეკლესიო ცრუმორწმუნოების ნაშთების „წმინდანების" გახსნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მხრივ ხალხის გონებაზე; საზოგადო კრებებზე თითქმის ერთხმად გამოჰქონდით დადგენილებები ეკლესიების დახურვის და სარწმუნოებაზე ხელის აღების შესახებ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მთელი მასის ეკლესიის ზეგავლენისაგან საბოლოოთ განთავისუფლებას.

ნაჩქარევათ გამოტანილ რეზოლიუციებს, დადგენილებებს სავსებით ვერ დავენდობით". სარწმუნოება, როგორც იდეოლოგია, განაგრძობს არსებობას," თუმცა „მრავალი ეკლესიები დაიხურა, მაგრამ სარწმუნოებრივი რწმენა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი გლეხობა საერთო მასაში არ არის მორწმუნე, რამოდენიმეთ მაინც დარჩა",—ამბობს ს. კ. პ. ცეკას ცირკულიარი, რომელიც გუშინ ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული.

საჭიროა ამ ფაქტისთვის ანგარიშის გაწევა, ფრთხილი და მიზანშეწონილი სისტემატიური მუშაობის წარმოება რამოდენიმე წლების განმავლობაში. ყოველ წინდაუხედავ და უტაქტო ნაბიჯს შეუძლია სულ წინააღმდეგი შედეგი მოგვცეს. არავითარ ძალდატანებას სარწმუნოებრივი წესების შესრულების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მასა თვითონ შემდგარია გამოფხიზლების და სარწმუნოებრივ ადათ-ჩვეულებებისგან განთავისუფლების გზაზე, სრულებით საჭირო არ არის და ზედმეტია რაიმე ძალდატანებითი და აკრძალვითი ზომები. ცეკას ცირკულიარი კატეგორიულ წინადადებებს იძლევა ამ მიმართულებით და ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა სავსებით და სისწორით უნდა დაიცვან და შეასრულონ იგი.

ცეკას ცირკულიარი იმავე დროს მიუთითებს იმ მუშაობის საჭიროებაზე, რომელიც მიგვიყვანს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის სრულ დანგრევისკენ და მის მეცნიერულ მარქსისტულ მსოფმხედველობით შეცვლისკენ. სწორედ ამ საპასუხისმგებლო და საძნელო მუშაობის სისტემატიური წარმოება მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე. სწორედ ამ ხასიათის მუშაობის გაღრმავებისათვის საჭიროა ამხანაგებმა დიდი უნარი და ენერგიის მაქსიმუმი გამოიჩინონ. მარქსისტული და საბუნებისმეტყველო ცოდნით შეიარაღებულმა ამხანაგებმა უნდა შესძლონ გლეხების სარწმუნოებრივი გავლენისა და ადათ-ჩვეულებებისაგან თანდათანობითი განთავისუფლება. საჭიროა ყოველგვარი ზომები იყოს მიღებული კულტურულ-მეცნიერულ ცოდნათა შეტანისთვის მშრომელთა მასებში და მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია საეკლესიო ცრუმორწმუნოებათა საბოლოო აღმოფხვრა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცირკულიარი საუკეთესო გზისკენ მიუთითებს ამხანაგებს საეკლესიო ცრუმორწმუნოების აღმოსაფხვრელად და ამავე დროს ერთხელ კიდევ აბათილებს იმ აზრს, ვითომ პარტიული ორგანოები რაიმე ძალდატანებითი ზომებს სცნობდენ საჭიროდ ანტისარწმუნოებრივი კამპანიის მსვლელობაში. ძალდატანების უარყოფა, სიფრთხილე, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცყოფისგან თავის შეკავება და იმავე დროს მეცნიერულ მარქსისტულ ცოდნათა შეტანა მასებში,—აი საითკენ მოუწოდებს პარტიულ ამხანაგებს ცეკა და ეჭვი არ არის, რომ მისი მოწოდება სავსებით იქნება გატარებული ცხოვრებაში.

წერილები მოსკოვიდან

„საკუთარი კორესპონდენტისაგან"

რუსეთის სასოფლო-მეურნეობის და შინამრეწველობის გამოფენა.

ამ მოკლე დროში მოსკოვში გაიხსნება რუსეთის სოფლის-მეურნეობის და შინამრეწველობის გამოფენა. ამ გამოფენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის არ წააგავს თავის შინაარსით იმ გამოფენებს, რომელნიც ეწყობოდენ აქამდი და ახლაც ეწყობიან სხვა ქვეყნებში, ვინაიდან მისი მიზანია არა მარტო აჩვენოს რუსეთის სოფლის მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობის სურათი, ან გამოფენის საშუალებით გააბას სავაჭრო დამოკიდულება სხვა და სხვა ქვეყნებთან, არამედ მას, ამასთან ერთად აზრად აქვს ხელი შეუწყოს გასული ომებით დანგრეული რუსეთის სოფლის მეურნეობის აღდგენას.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს გამოფენის უმთავრეს მიზანს და მისი მოწყობაც განსაკუთრებით ამ მხრივ მიმდინარეობდა.

ამ გამოფენაზე მოგროვებული და ნაჩვენები იქნება ყველაფერი ის, რაც გაკეთებულა სოფლის მეურნეობაში. იქ წარმოდგენილი იქნება რუსეთის ყველა კუთხე, ერთი მხრივ რუსეთის ის ნაწილი, სადაც სოფლის მეურნეობის კულტურა ეხლაც პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება, და მეორე მხრივ რუსეთის ის ნაწილი, რომელიც მეურნეობის დაყენების მხრივ არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს. გამოფენა დახატავს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეების ყოფა-ცხოვრების სურათს, მათი მრავალფეროვნებით და სხვადასხვაობით.

გამოფენას ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მას დაესწრება ყველა კუთხის წარმომადგენლები. გამოფენის საშუალებით თვითეული მათგანი გაეცნობა სხვა და სხვა კუთხის მეურნეობის მდგომარეობას, მათ მიღწევებს, რაც მიაქცევიებს ყურადღებას თავის შეცდომებზე, გამოასწორებიებს იმ ნაკლებს, რომელიც მათ მუშაობაში შეუმჩნეველი იყო აქამდი და რასაც იქ ის ნათლად დაინახავს. სოფლის მეურნე გამოფენაზე გაეცნობა იმ მიღწევებს, რომელიც არსებობს თანამედროვე კულტურულად მოწყობილ მეურნეობაში. ეს კი დასძრავს სოფლის მეურნეობას ერთი წერტილიდან და გამოიყვანს მას იმ ჩამორჩენილ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ახლა იმყოფება.

სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება შინაწარმოების და ქალაქის ინდუსტრიის ნაწარმოები, უმთავრესად ის, რასაც დამოკიდებულება აქვს სოფლის მეურნეობასთან, როგორც, მაგალითად, სასოფლო-მეურნეობის მანქანები და სხვა. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან გლეხობის უმეტესმა ნაწილმა ხშირად არც კი იცის ამა თუ იმ სასოფლო-მეურნეობისათვის საჭირო მანქანების არსებობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ექსპონანტები რუსეთის ავტონომიურ და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების. მათ მიერ მოწყობილია ცალ-ცალკე პავილიონები, სადაც ყოველმხრივ წარმოდგენილი იქნება არა მარტო მათი სოფლის მეურნეობის ნაწარმოები, არამედ ყველაფერი ის, რაც გამოხატავს მათ ყოფა-ცხოვრებას.

თუმცა პირველ ხანებში გამოფენის მოწყობას კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ალმაცერათ დაუწყეს ყურება, მაგრამ ახლა თვითოეული მათგანი ჩქარობს მიიღოს მონაწილეობა გამოფენაში. წარმოდგენილია გამოფენაზე გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და სხვები. ამერიკიდან ჩამოვიდენ სასოფლო-მეურნეობის მანქანების წარმოებათა მსხვილი ფირმების წარმომადგენლები მათ განაცხადეს, რომ მათი სურვილია გაიგონ, თუ რა სჭირდება რუსეთის სოფლის-მეურნეობას და რა შეუძლია მისცეს ამერიკამ. ზოგიერთმა უცხო სახელმწიფოებმა, როგორც, მაგალითად, იტალიამ, ავსტრიამ და სხვებმა, მოაწყვეს გამოფენაზე თავის პავილიონები. დანარჩენები კი თავის ექსპონატებს გამოაფენენ უცხო სახელმწიფოთა საერთო პავილიონში, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი.

უცხო სახელმწიფოთა მონაწილეობის მიღებას გამოფენაში აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ეკონომიური და პოლიტიკური. ერთი რომ ამ გამოფენით ხელი შეეწყობა მათთან ვაჭრობის გაშლას და მეორე მხრივ, ისინი ამ გამოფენაზე ცხადათ დაინახავენ, თუ რა გააკეთა მუშათა კლასმა, მას შემდეგ, რაც მან ხელში აიღო ძალაუფლება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მომავალ გამოფენის უმთავრესი მნიშვნელობა გამოიხატება მასში, რომ ის იქნება ერთგვარი პრაქტიკული სასწავლებელი, სადაც რუსეთის ყველა კუთხის გლეხთა წარმომადგენლები გაეცნობიან სოფლის მეურნეობის კულტურას და ტეხნიკას. (გამოფენის დიდ ნაწილს შეადგენს სახელმწიფო საცდელ მეურნეობის ექსპონანტები, მანქანები; ნაჩვენები იქნება გვალვის და სხვა ბუნებრივ მოვლენების საწინააღმდეგო ზომები). რომ ეს ნამდვილათ ასე იქნეს, საჭიროა არა მარტო თვით გამოფენის ტეხნიკურად მოწყობა (ექსპონატების განაწილება და სხვა), არამედ აუცილებლათ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ გამოფენას დაესწროს, რაც შეიძლება მეტი რიცხვი ექსკურსანტებისა. გამოფენას არ უნდა დააკლდეს არც ერთი კუთხის წარმომადგენელი.

ექსკურსანტების მისაღებათ და მათზე საზრუნველად მოსკოვის ორგანიზაციები ემზადებიან. თვითეული დაწესებულება, ქარხანა, პროფესიონალურ კავშირი და სხვა ორგანიზაციები იღებენ თავის თავზე ექსკურსანტების განსაზღვრული რიცხვის ყოველ მხრივ უზრუნველყოფას, როგორც ბინით, ისე სურსათით. გარდა ამისა, გამოფენის ადგილი. იქნება ყოველ მხრივ მოწყობილი, დაწყებული საჭირო დაწესებულებებით (ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვა) და გათავებული გასართობებით, ამ ჟამათ გამოფენის ადგილზე შენდება და მალე დამთავრებული იქნება თეატრი. განზრახულია გამოფენის დროს მოწყობილი იქნას ხალხთა დღესასწაული, ცალ-ცალკე ეროვნების ადათების მიხედვით. სათანადოთ ემზადება რკინის გზა, რომელმაც გასცა განკარგულება ექსკურსანტების გადმოსაზიდათ დამატებითი მატარებლების მოწყობის შესახებ.

ჯერი ადგილობრივ ორგანიზაციებზედ არის. მათ ყველაზე პირველად დასჭირდებათ ჩაატარონ სოფლის გლეხებს შორის კამპანია. აუხსნან მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გამოფენას, რას მოუტანს ის მიწის მუშას და სხვა. ერთი სიტყვით, ამ კამპანიით გლეხობის ყურადღება უნდა იქნას მიქცეული გამოფენისკენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ექსკურსანტების შერჩევას. გამოფენაზე უნდა გაიგზავნოს მხოლოდ ისინი, ვინც მუშაობენ სოფლის მეურნეობის დარგში, ან ვისაც ახლო დამოკიდებულება აქვს მასთან. ექსკურსანტების კანდიდატების შერჩევის დროს, უნდა ყველას ახსოვდეს, რომ გამოფენა მოწყობილია, არა როგორც თვალის გადასაყოლებელი სანახაობა. თვითეულმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უნდა ეცადოს თავის ხარჯზე გაგზავნონ ექსკურსანტები, გარდა იმ რიცხვისა, რომელიც ცენტრიდან მათ ხვდათ წილად. ხვედრ წილში გაგზავნილ ექსკურსანტებზე იზრუნებს ცენტრი და მის გარეშე გაგზავნილებზე კი გამგზავნი ადგილობრივი ორგანიზაციები. კარგი იქნება, თუ აგიტაციის საშუალებით, დაითანხმებენ ამა თუ იმ სოფლის გლეხებს, თავის ხარჯზე ზედმეტი წარმომადგენლის გაგზავნაში.

ს. გოდაბრელიძე.

მოსკოვი.
21 ივლისი 1923 წ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

იაპონიის საზოგადოებრივი აზრი ს. ს. რ. კ. ცნობას მოითხოვს.

ტოკიო. 25 ივლისი. „სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესწავლის საზოგადოებამ" მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს იაპონია-რუსეთს შორის კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარებას; რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ეს საჭიროა არა მარტო მეზობელ ქვეყნების ეკონომიკის აღსადგენად, არამედ აუცილებელია შორეულ აღმოსავლეთში წონასწორობის დასამყარებლად.

„საბჭოთა რუსეთის ცნობის ასოციაციის" და აგრეთვე „ვოსტოჩნოე ობოზრენიეს" ინიციატივით ოსაკაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 3000 კაცი. წარმოთქმულ სიტყვებში ორატორები ამტკიცებდენ ს. ს. რ. კ. ცნობის აუცილებლობას, მსოფლიო და ნაციონალური თვალსაზრისით, ვინაიდან რუსეთ-იაპონიის კავშირი ბოლოს მოუღებს ინგლის-საქსონიის ბატონობას აზიაში და უზრუნველყოფს მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში.

სამხედრო წრეები მხარს უჭერენ ს. ს. რ. კ. დაახლოვებას.

ტოკიო 25 ივლისი. იაპონიის საზღვაო სამინისტროდან მიღებულ ცნობების თანახმად, გაზეთები იტყობინებიან, რომ იაპონიის სამხედრო წრეები, რომელნიც წინად წინააღმდეგი იყვენ რუსეთთან დაახლოვების ეხლა საჭიროთ სთვლიან ამ დაახლოვებს. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ვაშინგტონში შემჩნეული იყო ტენდენცია, გარიყულ იქნეს იაპონია, გაძლიერდეს ამერიკის საზღვაო შეიარაღება, ინგლისის ფლოტი გაიგზავნოს წყნარ ოკეანეში და გაძლიერებულ იქნეს ინგლის-საქსონიის აგენტების ანტი-იაპონური მუშაობა ჩინეთში.

უმაღლეს და საშუალო საზღვაო წრეებში გაისმის მოთხოვნილება, რათა მთავრობამ საჩქაროთ აცნობოს ინგლისს და ამერიკას, რომ იაპონიის გეოგრაფიული, რუსეთთან მეზობლად მდებარეობა, აიძულებს მას დამოუკიდებლად იმოქმედოს ს. ს. რ. კავშირთან მეგობრულ ურთიერთობათა განახლების საკითხში.

რუსეთი და ფინეთი

საკითხი კარანტინის შესახებ.

ჰელსინგფორსი. 25 ივლისი. თათბირზე, რომელიც გაიმართა ს ს. რ. კავშირის წარმომადგენელსა ამხ. ჩერნინსა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვენოლლას შორის რუსეთის გემებისათვის კარანტინის მოხსნის შესახებ, ვენოლლამ განაცხადა, რომ ეს საკითხი ახლო მომავალში იქნება განხილული მთავრობის მიერო.

რუსეთი და ნორვეგია.

მოსკოვი. 27 ივლისი. მოსკოვში ჩამოსულმა ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ აღნიშნა რუსეთ-ნორვეგიის დამოკიდებულების გამტკიცება, რომელნიც დამყარებული არიან ნორვეგიის, როგორც სამეურნეო ინტერესებზე, ისე მისი მოსახლეობის ღრმა დემოკრატიულ ტენდენციებზე. ახლო მომავალში ნორვეგიას გადაწყვეტილი აქვს ს. ს. რ. კ. საექსპორტო საქონლის დიდი რაოდენობის შესყიდვა.

დანიის დელეგაცია მოსკოვში.

კოპენჰაგენი. 25 ივლისი. დანიის სამრეწველო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, რათა მოსკოვში მყოფ დანიის დელეგაციაში შეიყვანონ ინდუსტრიის წარმომადგენელი, ამ ჟამად რუსეთში მყოფი ინჟინერი ლანგე.

გერმანიის ამბები

ანტიფაშისტური დემონსტრაციები.

ბერლინი 25 ივლისი. 23 ივლისს მაინის ფრანკფურტში გაიმართა დიდი ანტიფაშისტური დემონსტრაციები, რომელნიც მოაწყვეს კომუნისტებმა სოციალ-დემოკრატებთან ერთად. დემონსტრანტების დიდი რაოდენობის გამო საჭირო შეიქნა პარალელური მსვლელობის გამართვა. მაღაზიები დაიხურა. დემონსტრანტების ხულიერი განწყობილება ძალიან აწეული იყო, მოხდა შეტაკება პოლიციასთან. პროკურორ ჰაასის ბინის მახლობლად მოულოდნელად გავარდა თოფი. ხალხმა აიკლო ბინა და მოჰკლა პროკურორი. მკვლელობა ჩაიდინეს სოციალ-დემოკრატებმა, ვინაიდან კომუნისტები იცავდენ სასტიკ დისციპლინას, სოციალ-დემოკრატების წინამძღოლებმა კი ხელიდან გაუშვეს სოციალ-დემოკრატიულ მასების ხელმძღვანელობა. ჰაასის მოკვლის გამო დაპატიმრებულია 17 კაცი და დაიწყო სასამართლო კვლევა-ძიება სოციალ-დემოკრატ კვინტის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება გამოსვლების წაქეზებაში.

ანტიფაშისტური დღე.

ბერლინი 25 ივლისი. კომუნისტების მიერ 29 ივლისის ანტიფაშისტურ დღეთ დანიშვნის გამო, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი თავის ცირკულიარში ავალებს საოლქო მთავრობებს მიიღონ ყოველგვარი ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

პრუსიაში, ბავარიაში, საარის ოლქში და დრეზდენში აკრძალულია დემონსტრაციები და მიტინგები ქუჩებში.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა ოფიციალურად განაცხადა უარი ანტიფაშისტურ დღეში მონაწილეობის მიღებაზე.

ფაშისტური კავშირები მოუწოდებენ თავიანთ წევრებს კომუნისტების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა გაძლიერებულ აგიტაციას ეწევა კომუნისტების წინააღმდეგ.

კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მიმართვა მშრომელებისადმი, რომელშიაც იგი მოუწოდებს გლეხებს და საშუალო ფენებს მოაწყონ შრომის ერთიანი ფრონტი ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

ინვალიდების დემონსტრაცია.

ბერლინი 27 ივლისი. „როტე ფანე" იტყობინება, რომ ბერლინში მოხდა ომისა და შრომის ინვალიდთა დემონსტრაცია. ოცი ათასი უსინათლო, რომელთაც წინ უძღოდათ გამცილებლები და ძაღლები, ყავარჯნიანი ფეხმოჭრილები, დაჩანაკებული მოხუცი კაცები და დედაკაცები დაიძრა ლიუსტგარტენისაკენ, სადაც გაიმართა მიტინგი. მიტინგზე ბევრმა ორატორმა ილაპარაკა; სხვათა შორის გერმანიის სოციალურ მზრუნველობის საზოგადოების წარმომადგენელმა, რომელიც სასტიკად ილაშქრებდა თავისი პარტიული ამხანაგების (გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიის პარტია) წინააღმდეგ, რომლებმაც როგორც ლანდტაგში, ისე რეიხსტაგშიაც კომუნისტური პარტიის მოთხოვნილების წინააღმდეგ მისცეს ხმა. კომუნისტური პარტია კი მოთხოვდა სოციალურ უზრუნველყოფას. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს პენსიების გადიდებას და ინვალიდების მომარაგებას იაფ ფასიან სურსათ-სანოვაგით და პირველ საჭიროების ნივთებით და სხ. პოლიცია რამდენჯერმე შეეცადა ამ სახიჩარი ხალხის გაფანტვას.

კომუნისტების გავლენა იზრდება.

ბერლინი. 25 ივლისი. 24 ივლისს მთელს გერმანიაში შესდგა მელითონეთა ყრილობის დელეგატების არჩევნები. დღევანდლამდის სოციალ-დემოკრატებს მელითონეთა პროფკავშირებში უმრავლესობა ჰყავდათ. **ეხლანდელი არჩევნების შემდეგ კომპარტიის კანდიდატებმა მიიღეს 54.000 მეტი ხმა,** სოციალ-დემოკრატებმა—22.000 ხმა. **ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის ყველა მსხვილ ცენტრში, როგორც რეინის ოლქში, ვესტფალიაში, შუა გერმანიაში, ვიურტემბერგში და აგრეთვე გერმანიის ოკუპაციაქმნილ ნაწილში, გაიმარჯვა კომუნისტების სიამ.**

კომუნისტების ბრწყინვალე გამარჯვებით დაშინებული ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ კასსელის ყრილობაზე მელითონეთა პროფკავშირი, რომელიც ყველაზე უფრო მსხვილი და გავლენიანია გერმანიის პროფკავშირებთა შორის, გადავა კომუნისტების ხელში.

„ფორვერტსი" არჩევნების შედეგებს **სოციალ-დემოკრატების მძიმე დამარცხებათ სთვლის პროფესიონალურ მოძრაობის სფეროში და ბრალ**სა სდებს კუნოს მთავრობას და მწარმოებლებს იმაში, რომ იმათ თავის მოქმედებით მუშების მიმართ ხელშემწყობი ნიადაგი მოამზადეს კომუნისტების ფართო აგიტაციისათვის.

მარკა ეცემა.

ბერლინი. 25 ივლისი. გერმანიის მთელი პრესა დაინტერესებულია მარკის კურსის დაცემის საკითხით. პრესა მეტად პესიმისტურათ არის განწყობილი. ბურჟუაზიული პრესა უკმაყოფილოა მთავრობის განკარგულებით ვალიუტით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ. ბერლინისა და ჰამბურგის სავაჭრო პალატებმა და აგრეთვე მსხვილი ვაჭრობის კავშირმა პროტესტი განაცხადეს მთავრობის ამ განკარგულების წინააღმდეგ.

დოლლარის ოფიციალური კურსი ბერლინის ბირჟაზე არის—412.000 მარკა, დანციგის ოფიციალურ და აგრეთვე ბერლინის შავ ბირჟაზე დოლლარი ღირს—600.000 მარკა.

გერმანიაში ფულის ნიშნების ნაკლებობაა. ახლო მომავალში გამოშვებული იქნება ფულის ნიშნები მილიონიან და ნახევარ მილიონიან მარკის ღირებულებისა.

ბაზარზე ფასები მატულობს და ყოველდღიურად იცვლება. მუშათა მასებში დიდი აღელვებაა.

სოციალ-დემოკრატ ქალაქის ხმოსნებმა ბერლინის ქალაქის საბჭოში შეკითხვა შეიტანეს და მოითხოვეს საგანგებო ზომების მიღება მოსალოდნელ კატასტროფის წინააღმდეგ.

საკონტრიბუციო საკითხი

ბელგიის მთავრობის კრიზისი.

ლონდონი. 25 ივლისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, ბელგიის დესპანი ეწვია პუანკარეს და გაუზიარა ბელგიის მთავრობის აზრი გერმანიისათვის გადასაცემ ინგლისის საპასუხო პროექტისა.

საფინანსო კონფერენცია.

პარიზი, 25 ივლისი. პარიზში დასრულდა კერძო საფინანსო კონფერენცია, მოკავშირეთა ვალებისა და რეპერაციის შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ლუშერი, შეერთებულ შტატების ყოფ. ფინანსთა მინისტრი გაუსტონი და ზოგიერთი ამერიკელი ფინანსისტები გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს, გაუსტონმა განაცხადა: გერმანიის ვალების რაოდენობა რომ გამორკვეულიყო, შეიძლებოდა კრედიტის უზრუნველყოფაც. გაუსტონისა და ამერიკის რამოდენიმე ფინანსისტის აზრით, მოკავშირეთა ვალების რაოდენობა უნდა გადასწყდეს თვითეულ სახელმწიფოს გადამხდელების უნარიანობით.

„ინფორმასიონ"-ი ეხება საფრანგეთ-ამერიკის ეხლანდელს მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ ამერიკამ 15 წლით ადროვოს საფრანგეთს ვალის გადახდა და სწერს: საფრანგეთს უკვე გადახდილი აქვს ამერიკისათვის ვალის სარგებლობაში 400 მილიონი დოლარი და აღარ შეუძლიან მეტის გაპარტახებულ დანგრეულ ოლქების აღდგენამდე.

ინგლისის ნოტაზე.

პარიზი, 25 ივლისი. პარიზში წარმოებულ მოლაპარაკებას, ინგლისის ნოტაზე პასუხის შესახებ, დიდის საიდუმლოებით ინახავენ.

იუწყებიან, რომ ამ საკითხის შესახებ ფიცხელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს პარიზსა და ბრიუსელს შორის.

ბრიუსელს ლონდონთანაც აქვს მოლაპარაკება, როგორც შუამავალს ლონდონსა და პარიზს შორის.

როგორც გადმოგვცემენ, ბელგია არ იზიარებს საფრანგეთის აზრს, რათა გადაჭრით მოითხოვონ 1921 წ. 5 მაისს დადგენილ გადასახდელ თანხის სრული განაღდება. ამ საკითხში ბელგია ინგლისის მოსაზრებას უახლოვდება.

ოკუპაციის გარშემო

რურის გაფიცულთა დევნა.

ბერლინი. 27 ივლისი. „როტე ფანე"-ს ცნობებით, გამმში (რურის ოლქში) გაფიცულია თერთმეტი მაღარო. ამ დღეებში საოკუპაციო მთავრობამ დააპატიმრა გაფიცულთა ცნობილი ბელადები დუბბინსკი, ჰეიმბერგი და სხვანი. კომუნისტური პარტიის ბიუროში ჩხრეკა მოხდა. წაიღეს სხვა და სხვა საბუთები, რომელთაც არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვთ.

ანგარიში შეეშალათ.

ბერლინი. 27 ივლისი. გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ოფიციალური ცნობებით, საფრანგეთმა მიიღო გერმანიისაგან 1922 წ. თებერვალსა, მარტსა და აპრილში 1,424,000 ტონი ქვანახშირი და 1,395,720 ტონი კოკსი. იმავე თვეების განმავლობაში 1923 წელს, ე. ი. ოკუპაციის დროს, ფრანგებმა დაამუშავეს მხოლოდ 139,000 ტონი ქვანახშირი და 760,500 ტონი კოკსი.

ვიზრუნოთ შენობებზე

ზაფხული გადის, მაგრამ არამც თუ ახალი შენობების ან ბინების კეთებით, არამედ იმ შენობების შეკეთებაზე, რომელთაც ეს აუცილებლათ ესაჭიროება, თავს არავინ იტკივნებს. გამოკვლევა გვეუბნება, რომ ისეთი სახლების რიცხვი, რომელიც არ საჭიროებს ეხლავე შეკეთებას, 5 პრ. არ აღემატება, დანარჩენი 95 პროც. იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ თუ ისინი დაუყოვნებლივ არ შეკეთდა, დიდი ნაწილი ამ სახლებისა სადგომათ ზამთარში გამოუსადეგარი იქნება. უმთავრესათ სახლები ფუჭდება ან ინგრევა სახურავის გაფუჭებით. წინეთ სახლის პატრონი 3—4 წლის განმავლობაში უსათუოდ შეღებავდა რკინის სახურავს და საწვიმარ მილებს. ამით ინახებოდა სახურავი, მას სიცხე და სიცივე ზიანს ვერ აყენებდა, ამის გამო მას შეკეთება დიდხანს არ ესაჭიროებოდა და სახლი ინახებოდა.

ეხლა? 1915 წლიდან შენობების ყოველგვარი შეკეთება შეწყდა. ბევრი შენობები ამ წლამდისაც საჭიროებდენ შეკეთებას და ამის შემდეგ ხომ ხელი არავის გაუნძრევია.

დღეს იშვიათად მოიძებნება ისეთი შენობა, რომელსაც სახურავი უვარგოდეს. საკმარისია წამოვიდეს პატარა წვიმა და მდგმურების მიერ შეიქნება ქვაბების და გობების ძებნა, რომ წვიმის წყალი ზემო სართულში შეაჩერონ როგორმე. მაგრამ ეს, რასაკვირველია, საქმეს არ შველის და წყალი ზემო სართულიდან ყველა სართულებში გადის. ამნაირათ ლპება და ინგრევა სახლები. ასეთ მდგომარეობაშია არამც თუ ის შენობები, რომელიც ეკუთვნის ქალაქს და რომელიმე ორგანიზაციას, არამედ ისინიც, რომელნიც კერძო მესაკუთრეების ხელშია.

ამ უკანასკნელთ სახლები დაუბრუნდა იმ პირობით, რომ მათ ეს შენობები ყოველ მხრივ შეაკეთონ თავის დროზე და შეინახონ კარგათ, მაგრამ ამ მხრით სახლის პატრონებს სრულებით არაფერი გაუკეთებიათ, და ყველაზე უფრო დაზიანებული და ნგრევის მდგომარეობაში სწორეთ კერძო მესაკუთრეთა სახლებია. საჭიროა საჩქაროთ ზომების მიღება, რომ ამ წელში თუ სხვა შეკეთება არა, სახურავები და საწვიმარო მილები მაინც იქნეს შეკეთებული და შეღებილი. ამის სისრულეში მოსაყვანათ თუ საჭირო დარჩა, რეპრესიული ზომებიც უნდა იქნეს მიღებული, რომ ცოტათი მაინც შეჩერდეს შენობების ნგრევის პროცესი. რაც შეეხება იმ შენობებს, რომლებშიაც მოთავსებულია სხვა და სხვა დაწესებულებანი, ისინი ვინაიდან თფილისის აღმასკომს საშვალება არა აქვს ამ ხანათ, უნდა შეაკეთონ თვით დაწესებულებებმა. ეს უნდა ჩათვალონ მათ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეთ და თუ სახსრის უქონლობას მოიმიზეზებენ, მათ თამამათ შეუძლიათ შეამოკლონ ავტომობილების ხარჯები ორი-სამი თვით (აგარაკებში სეირნობის დროს მაინც) და გააკეთონ ეს აუცილებელი სამეურნეო საქმე.

რაც შეეხება მუშათა სახლებს, მათი შეკეთება უნდა ითავონ იქ მდგმურ მუშებმა და მათ ამ საქმეში უნდა დაეხმაროს ქალაქის აღმასკომი, კიდეც რომ რამდენიმე თვის, თუ გინდ წლის ბინის ქირა დასჭირდეს მუშათა სახლების სახურავების შეკეთებას და შეღებას.

ქალაქის კომუნ. მეურნ. არ უნდა შეჩერდეს და აუცილებლათ გააკეთოს ეს აუცილებელი საქმე ამ ხანათ.

კიდევ დარჩენილა რამდენიმე თვე ზამთრამდის და საჭიროა ამ ხნის განმავლობაში აუცილებლათ შეკეთდეს და შეიღებოს სახურავები და ამით გადარჩეს შენობები დალპობას და დანგრევას.

ამ ორი წლის წინეთ კიდევ შეიძლებოდა თავის გამართლება სახლების შეუკეთებლობაში, ვინაიდან საკმარისი საჭირო მასალების შოვნა უფრო ძნელი იყო, მაგრამ დღეს, როცა ეს მასალები ბლომათ მოიძებნება, ყოვლათ შეუძლებელია შენობები ასე ანაბარათ გაუშვათ და ის ჩვენი გულგრილობით გავაოხროთ.

სიცხისაგან გადამწვარი შეუკეთებელი და შეუღებავი შენობების სახურავები ზამთრამდის არ უნდა ჩავატაროთ, თორემ ზამთარში აუარება შენობები წვიმისაგან და თოვლისაგან მთლად დალპება და ბინების შემატების და გამრავლების მაგიერ ჩვენ გვექნება ბევრი გაპარტახებული შენობები.

ამ პირველი შეკეთების შემდეგ უნდა შეუდგეთ საჭირო დანარჩენ შეკეთებას, როგორც შიგნითურს, ისე გარეგნულს.

ეს დიდი და საჩქარო საქმეა.

ქ. ჩხენკელი.

ლოზანას კონფერენციის შემდეგ

სამხრეთ-სლავიამ ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას.

ბერლინი. 25 ივლისი. ლოზანიდან მიღებულ ცნობებით, საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მხოლოდ ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და ოსმალეთმა.

სამხრეთ-სლავიის დელეგაციამ უარი განაცხადა ხელის მოწერაზე, რადგანაც არ იკისრა პასუხისმგებლობა ოსმალეთის ვალების განაწილების საკითხში.

ინგლისის გაზეთების აზრი.

ლონდონი. 25 ივლისი. კონსერვატიული გაზეთები თავშეკავებით ეხებიან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

„დეილი ქრონიკლ“-ის აზრით ლოზანას ხელშეკრულება ყველაზე უფრო სამარცხვინო ხელშეკრულებაა, რომელზედაც კი ინგლისს როდისმე მოუწერია ხელი.

ბალკანეთი

გადატრიალება საბერძნეთში.

რომი. 27 ივლისი. **ათონიდან მიღებული ცნობები ადასტურებს, რომ საბერძნეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ხმა დადის, აგრეთვე, რომ სამხრეთ-სლავიაში რევოლუციამ იფეთქა. როგორც სჩანს, კროაცია, მაკედონია და ჩერნოგორია ბულგარეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებიან.** იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით არავითარი დამადასტურებელი ცნობა არ მიუღია მას, ათონში მყოფ თავისს წარმომადგენლისაგან საბერძნეთში მომხდარ გადატრიალების შესახებ. იტალიის დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ ბალკენეთში მომხდარ დიდი მღელვარების შესახებ.

ოსმალეთი

საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღეს.

ანგორა. 27 ივლისი. საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც იყო რევოლუციის წლისთავი და ყურბან-ბაირამის დღესასწაული. ამ ამბის გამო დილით გაიმართა პარადი და მილოცვების მიღება. ანგორა გაჩირაღდნებული იყო.

სამზადისი ისმეტ-ფაშის საზეიმო შეხვედრისათვის.

რომი. 27 ივლისი. სტამბოლში დიდი მზადებაა ისმეტ ფაშის შესახვედრად, რომელიც შაბათს ჩამოვა სტამბოლში.

მცირე ანტანტა

კონფერენცია.

პარიზი. 27 ივლისი. მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენციის პროგრამაში, რომელიც სინაიაში გაიმართება, შემდეგი საკითხები შედის: ფინანსიური დახმარება უნგრეთს, ბალკანეთის სახელმწიფოთა საკონტრიბუციო და საპოლიტიკო საკითხები, ევროპასა და გერმანიის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით და ლოზანაში დადებულ საზავო ხელშეკრულობის შედეგები. კონფერენცია განიხილავს აგრეთვე მცირე ანტანტის სტატუტს და მცირე ანტანტაში წევრად შესულ სახელმწიფოთა ურთიერთობის გასაადვილებელ ეკონომიურ საკითხებს.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი

კონტინენტალური კავშირი.

პარიზი. 25 ივლისი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იხილავენ საკითხს კონტინენტალური კავშირის შესახებ. „ერ-ნუველი“, ინგლისს ევროპის მტერს უწოდებს და მიუთითებს ევროპის სახელმწიფოთა კავშირის აუცილებლობაზე ინგლისის იმპერიალიზმის ასალაგმავათ.

ისპანია.

ტანჟერის საკითხი.

პარიზი 25 ივლისი. ისპანიის პრესის ცნობით, ისპანიის და ინგლისს შორის ტანჟერის საკითხში მიღწეულია სრული შეთანხმება. ისპანია უარს ამბობს არა ისპინიურ ტანჟერის ნაწილის ფლობაზე, ინგლისი სცნობს ტანჟერზე ისპანიის უფლებას, რომელშიაც უნდა შეიქნეს განსაკუთრებული ხალიფატი.

შვეცია.

ბაპტისტების კონგრესი.

სტოკჰოლმი. 25 ივლისი. სტოკჰოლმში გაიხსნა ბაპტისტების მე-3-მე საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც დაესწრო 2000 წარმომადგენელი 35 ქვეყნიდან. რუსეთის ბაპტისტების წარმომადგენლების მოთხოვნით სხვა ქვეყნების დროშებს შორის მოათავსეს ს. ს. რ. ბ. დროშაც.

ბელგია

კომუნისტების გასამართლება.

პარიზი. 25 ივლ. ბრიუსელში კომუნისტების გასამართლების დროს, დამცველმა დესტრემ განაცხადა: **ერთად-ერთი შეთქმულება, რომელზედაც კი შეიძლება ლაპარაკი, ეს გახლავთ სასამართლოს შეთქმულება სამართალში მიცემულთა წინააღმდეგ.** საბრალმდებლო განაჩენი იქნებოდა ბელგიის კონსტიტუციის სრული უარყოფა, რადგანაც ეს კონსტიტუცია აღიარებს აზროვნების სრულს თავისუფლებას“.

ლატვია

რიგის გამოფენა.

რიგა. 25 ივლისი. საფრანგეთის საგამოფენო კომიტეტის მოწვევით, რიგის გამოფენაზე გამართული საფრანგეთის პავილიონი დაათვალიერეს რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. არალოვმა, სავაჭრო წარმომადგენელმა ამხ. კუბაშევმა და პეტროგრადის სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა ამხ. მაკოვეცკიმ. მათ მიეგებნენ რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოების წარმომადგენელნი კურვილი, მილლერი და საგამოფენო კომიტეტის წევრნი. ორივე მხრივ წარმოითქვა მისალმების სიტყვები. ფრანგებმა დაათვალიერებინეს ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლებს საფრანგეთის ექსპონატები. განზრახულია ყველა ამ ექსპონატების გაგზავნა. ს. ს. რ. საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში, როდესაც გამოფენა რიგაში დასრულდება.

პოლონეთი.

ლოძის მუშების დახვრეტის გამო.

ვარშავა. 25 ივლისი. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დეპუტატებმა პოლონეთის სეიმში შეკითხვა შეიტანეს ლოძის გაფიცულ მუშების დახვრეტის შესახებ და მოითხოვეს გამოძიების მოხდენა და მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახებისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა.

იტალია.

ბოდრიგას დატუსაღების გარშემო.

რომი. 25 ივლისი. პროკურატურა მოითხოვს ბოდრიგასა და მის 30 ამხანაგის სასამართლოში მიცემას; მათ ბრალათ ედებათ ისეთ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება, რომლის მიზანი იყო კლასობრივი სიძულვილის გრძნობის გაღვივება. ამ დანაშაულისათვის დამნაშავენი დასჯილი იქნებიან ციხეში დამწყვდევით 18 თვის ვადით. დანარჩენი 100 დატუსაღებული განთავისუფლებულნი არიან.

მუსოლინი და შრომის კონფედერაცია.

რომი. 25 ივლისი. ამ დღეებში მუსოლინიმ მიიღო შრომის კონფედერაციის პრეზიდიუმი და 2 საათის განმავლობაში საუბარი ჰქონდა მასთან მთავრობის პოლიტიკის შესახებ პროფესიონალურ მოძრაობისა და სოციალურ კანონმდებლობის საკითხში. ამ მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მას სთვლიან პირველ ცდათ პროფკავშირების და მთავრობის დაახლოვების საქმეში.

სოციალისტურ პარტიის პარლამენტის ფრაქციის მდივანმა ბოლდეზიმ მოიწონა პროფკავშირების მიერ გადადგმული ნაბიჯი.

მუსოლინის ორგანო „პოპოლო დ-იტალია“ ბოლდეზის განცხადებას სთვლის მითითებათ იმაზე, რომ არსდება ახალი მუშათა პარტია, ინგლისის პარტიის დაგვარათ.

საფრანგეთი.

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.

პარიზი. 24 ივლისი. **საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, რათა განახლდეს ბრძოლა საყოველთაო ამნისტიის სასარგებლოდ.**

შრომის კონფედერაციის კონგრესი.

პარიზი. 24 ივლისი. შრომის უნიტარულ კონფედერაციის ეროვნულმა კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს საგანგებო კონგრესი, კონფედერაციის გარკვეულ პოლიტიკის შესამუშავებლად.

შრომის კონფედერაციის სასპორტო კონგრესი.

პარიზი. 24 ივლისი. შრომის კონფედერაციის სასპორტო კონგრესის მიერ არჩეულმა ახალმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა კონფედერაციის ყველა წევრებს, რათა დაიცვან მუშათა სასპორტო მოძრაობის მთლიანი ფრონტი განდგომილ რეფორმისტებისაგან.

კონგრესმა დაადგინა, 128 ხმის უმეტესობით 117 წინააღმდეგ, შეუერთდეს წითელ სასპორტო ინტერნაციონალს.

ესპანეთი

ურთიერთობა ოსმალეთთან.

პარიზი. 24 ივლ. ესპანეთის მთავრობამ გადასწყვიტა ურთიერთობა იქონიოს ოსმალეთთან და ამ მიზნით სტამბოლში გაგზავნა საგანგებო მისსია.

ესპანეთის კომპარტიის კონგრესი.

პარიზი. 24 ივლ. ესპანეთის კომპარტიის კონგრესმა გადასწყვიტა იბრძოლოს მაროკკოსთან ომის წინააღმდეგ და მუშათა შორის მოაწყოს ნამდვილი პროპაგანდა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

გერმანია.

ოქროს სესხი.

ლონდონი 26 ივლისი. ბერლინში გამართული მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ბანკს და სხვა მსხვილ ბანკებს შორის შინაური ოქროს სესხის გამოშვების შესახებ, შეთანხმებით დასრულდა. სესხის რაოდენობა დაახლოვებით 20—25 მილიონ მარკამდე იქნება. სესხი—ხუთპროცენტიანია და სახელმწიფოს მიერ გადახდილი იქნება 12 წლის განმავლობაში დოლლარის კურსების მიხედვით.

ნახშირის ფასები

პარიზი 26 ივლისი. ნახშირზე ფასები გერმანიაში 50—60 პროც. აიწია.

დაპატიმრებანი

ბერლინი 26 ივლისი. ფრანკფურტში ნიადაგზე სასურსათო კრიზისის გამო მომხდარ არეულობის გამო 17 კაცი დააპატიმრეს.

საშიში მდგომარეობა

ბერლინი 26 ივლისი. ვინაიდან საგრძნობლად გართულდა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, სხვადასხვა პარტიები იწვევენ თავის აღმასკომების სასწრაფო სხდომებს. გერმანიის პოლიცია ბერლინის მცხოვრებთა პასპორტების გასინჯვას აწარმოებს.

ეხმარებიან ფაშისტებს.

ბერლინი. 24 ივლისი. ჰანნოვერში ანტიფაშისტური დღე მთავრობამ აკრძალა.

ლატვია.

მასსიური დაპატიმრების გამო.

რიგა. 24 ივლისი. სეიმის კომისიამ უარჰყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა უკანასკნელ მასსიურ დაპატიმრებათა შესახებ.

რუსეთის ტრანზიტი.

რიგა. 24 ივლისი. ფინანსთა, გზათა მინისტრებისა და მთავარ სარკინისგზო სამმართველოს საბაჟო დეპარტამენტის დირექტორთა თათბირმა რუსეთის ტრანზიტისათვის შეღავათის მიცემის საკითხის განხილვის დროს, შესაძლებლად ვერ სცნო სარკინისგზო ტარიფის დაკლება.

ინგლისი

ლორდები ეხმარებიან უნგრეთელ ჯალათებს.

ლონდონი. 26 ივლისი. ლორდთა პალატაში შეკითხვა იყო შეტანილი უნგრეთის კონტრიბუციის მომავალი მდგომარეობის შესახებ. შეკითხვის საპასუხოდ კერზონმა განაცხადა: ინგლისის მთავრობამ სავსებით დაუჭირა მხარი უნგრეთის მოწოდებას, რომლითაც უნგრეთმა მიმართა საკონტრიბუციო კომისიაში მონაწილე ყველა სახელმწიფოებს. ამავე მიზნით,—ე. ი. მოწოდებისათვის მხარის დასაჭერად,—ინგლისის მთავრობამ საგანგებო წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას. მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში დაიწყება, სამხრეთ-სლავია, ჩეხო-სლოვაკია და რუმინია დარწმუნდებიან, რომ ამ ქვეყნების ეკონომიური და სხვა ინტერესებიც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი, თუ უნგრეთს წელში გამართვის საშუალება მიეცა. ინგლისის მთავრობა მოწადინებულია თავიდან აიცილოს უნგრეთს ეკონომიური კრახი, მისი აურაცხელი შედეგებით. მთავრობა დარწმუნებულია, რომ უნგრეთს არ შეიძლება უარი ეთქვას ფინანსიურ დახმარებაზე (საკმაო რაოდენობით) იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც მხარს უჭერს ერთა ლიგა. მთავრობა იმედოვნებს, რომ საკონტრიბუციო კომისია სასწრაფოდ გადასინჯავს თავისს უკანასკნელ დადგენილებებს და მთელი საკითხის გადაწყვეტას მიანდობს ერთა ლიგას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

სასოფლო-მეურნეობის მუშათა შორის.

ლონდონი. 24 ივლისი. სასოფლო მეურნეობის მუშები, რომელთაც ამ წლის დასაწყისში გაფიცვა გამოაცხადეს და შემდეგ მაკდონალდის შუამავლობის გამო, დასთანხმდენ სამუშაო ხელფასის შემცირებაზე—ერთის პირობით, რომ დამქირავებლების მხრით მათ მიმართ ადგილი არ ექნებოდა არავითარ რეპრესიებს მოსტყუვდენ ანგარიშში. გამოირკვა რომ მწარმოებლები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. ფერმერების კავშირმა განაცხადა, რომ გაფიცვები შეწყვეტილი იყო იმ პირობით, რომ მთავრობას უნდა აღმოეჩინა ფერმერებისათვის ფინანსიური დახმარება. ფერმერებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში თუ მთავრობის მიერ არ იქნება შესრულებული აღნიშნული დაპირება, ჩვენ ხელახლა მოვითხოვთ სოფლის მეურნეობის მუშებისათვის ხელფასის შემცირებასო.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 24 ივლისი. ლონდონის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა გრძელდება. **მრავალრიცხოვან მიტინგებზე კავშირის ოფიციალურ წინამძღოლებს, რომელნიც წავიდენ გაფიცვის წინააღმდეგ, ზიზლით შეხვდენ, რის შემდეგ ყველა დამსწრენი დაიშალენ და დასტოვეს კავშირის წინამძღოლები.**

ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა ფაქტიურად ჩაიშალა. „დეილი გერალდის“ ცნობით, ამ ჟამად მტკიცეთ სდგანან თავიანთ პოზიციებზე მხოლოდ ლონდონის და გულის ნავთსადგურის მუშები.

რეპრესიები ლოძაში.

ვარშავა. 24 ივლისი. გაფიცვების დროს ლოძაში დაატუსაღეს 77 მუშა, რომელთაგანაც 63 გაანთავისუფლეს. დანარჩენებს კი სამართალში აძლევენ ლოძის არეულებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

გაფიცვა ჩენსტოხოვში

ვარშავა. 25 ივლისი. **ჩენსტოხოვში კვლავ საერთო გაფიცვამ იფეთქა, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი აქვს.** მუშებმა მოითხოვეს იმ მუშა ქალების დათხოვნა ქარხნებიდან, რომელთა ქმრებიც პოლიციაში მსახურობენ, ამის გამო მათ კონფლიქტი მოუვიდათ ადმინისტრაციასთან. პოლიციამ მრავალი მუშა დაატუსაღა. **პროტესტის ნიშნათ დატუსაღების წინააღმდეგ გამოცხადებულია საერთო გაფიცვა.**

ჩეხო-სლოვაკიის სამთომადნო მრეწველობის მუშებში.

პრაგა. 25 ივლისი. სამთომადნო მრეწველობის მორავიის რაიონის კომუნისტ მუშების კონფერენციამ დაადგინა არ დაემორჩილოს მწარმოებლების მოთხოვნილებას შრომის ხელფასის 30 პროც. შემცირების შესახებ და მიმართოს სამთომადნო მრეწველების ყველა მუშებს. მხარი დაუჭირონ მათ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირში

ამხ. რაკოვსკის გამგზავრება.

მოსკოვი. 26 ივლისი. მოსკოვში ჩამოსული ამხ. რაკოვსკი ამ დღეებში გაემგზავრება ლონდონში.

მელითონეთა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა.

მოსკოვი, 26 ივლისი შვეიცარიისათვის ბოიკოტის გამოცხადების გამო, მელითონეთა სრულიად რუსეთის კავშირმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიიღოს მელითონეთა ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომებში ბერნში. იღებს რა მხედველობაში იმ მნიშვნელობას, რომელიც კონფერენციას აქვს, კავშირი თხოვს გადატანილ იქნეს სხდომა სხვა ქვეყანაში.

„სამოქალაქო ომის აჩრდილი“

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 27 ივლისი. გაზ. „იზვესტია“ მეთაურში „სამოქალაქო ომის აჩრდილი“ სწერს: „დოლლარის კურსი ბერლინში—600,000 მარკას უდრის. ეს გავლენას ახდენს გერმანიის გამოუსვლელ მდგომარეობაზე. სიძვირე საშინლათ იზრდება. მუშათა მასები და საშუალო წრეები სულს ღაფავენ საშინელ გაჭირვებაში. რურის ავანტიურის ლიკვიდაციაც კი ვერ გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. კუნოს კაბინეტი უძლური აღმოჩნდა და ხელს უწყობს მხოლოდ გერმანიის ფაშისტებს. უკანასკნელები ვითომდა საფრანგეთთან ბრძოლის მიზეზით მონარქიულ გადატრიალებას ამზადებენ ბურჟუაზიის საშუალებით და მის სასარგებლოთ. გერმანიის ფაშისტები თავხედურათ ემზადებიან გადატრიალებისათვის. გერმანიის კომპარტიამ მოუწოდა პროლეტარიატს ერთიანი ანტი-ფაშისტური ფრონტისაკენ, ხელისუფლების მეთაურებმა-შემთანხმებლებმა აკრძალეს ანტი-ფაშისტური დღე. ერხარდტის გაქცევა მთავრობის უძლურებას და პირმოთნეობას ამტკიცებს, „ფორვერტს“-მა გაქცევას პირველათ სამოქალაქო ომი უწოდა, შემდეგ ბრალი დასდო კომუნისტებს სამოქალაქო ომში და ფაშიზმის საწინააღმდეგო ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამაში ფაშიზმისათვის საიდუმლო მხარის დაჭერა იმალება. ფაშიზმი გაფაციცებით ემზადება გამოსვლისათვის. სოციალ-დემოკრატიული პოლკოვნიკი დრეზდენის პოლიცმეისტერი შიტცენგერი არ უარყოფს სამოქალაქო ომის შესაძლებლობას და გერმანიის ხალხს ანუგეშებს იმით, რომ ფაშისტები მცირერიცხოვანი არიან, მაგრამ ამავე დროს არ უარყოფს მათ ბრძოლის უნარიანობას. გერმანიის მთავრობის პოლიტიკა—სოციალ-დემოკრატების მაღალ წრეების ბოროტი პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია ფაშიზმისათვის ხელის შესაწყობათ. ფაშისტები თოკს უჭერენ ყელზე გერმანიის პროლეტარიატს სოციალ შემთანხმებლების მაღალ წრეების თანხმობით. ჰოჰენცოლერნების ტახტი ან სტინესის ჯაჭვები—აი გერმანიის ფაშიზმის აზრი და მიზანი“.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში.

რესპუბლიკანური კომისია, რომელშიაც შედიან სახალხ. სასურსათო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის წარმომადგენელნი, გამუდმებით მუშაობს და ადგენს სხვადასხვა ინსტრუქციების და დადგენილების პროექტებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსახორციელებლად.

კომისიამ ერთ-ერთ თავის უკანასკნელ კრებაზე შეიმუშავა **სია საცდელ მინდვრებისა, საჩვენებელ და სათესლე პლანტაციებისა**, რომელნიც მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-9 მუხლის თანახმად განთავისუფლებულნი უნდა იქმნენ გადასახადისაგან. ამ სიაში კომისიამ შეიტანა:

ტფილისის მაზრაში: ყარაიაზის საცდელი სადგური ყარაიაზის სადგურთან.

დუშეთის მაზრაში—ქართლის სახალხო მამული სოფ. მუხრანში.

თელავის მაზრაში—„კახეთის მევენახეობა“ საცდელი სადგური სოფ. ურიათუბანში.

გორის მაზრაში—თესლეულის მეურნეობა სვიმონ სვიმონის ძის ხეთაგურისა სოფელ ქვემო-ნიკოზში, სივრცით 2 დესეტინა.

ქუთაისის მაზრაში—აჯამეთის საცდელი სადგური აჯამეთის სადგურთან.

შორაპნის მაზრაში—„საქარის მევენახეობა“ (მეღვინეობის საცდელი სადგური).

ოზურგეთის მაზრაში—ოზურგეთის საცდელი ჩაის პლანტაცია ქალ. ოზურგეთში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააგრონომიო დახმარების ქვე-განყოფილების განკარგულებაში მყოფი მიწები, რომელიც ემსახურება საცდელ-საჩვენებელს მიზნებს, ხელს უწყობს სოფლად აგრონომიულ ცოდნის გავრცელებას.

ბორჩალოს მაზრაში—„მოლა ამეტლო“ (ლაზარევისეული მამული) 47 დესეტინა, „არაპლო“ (ბეგტიპჩიევისეული მამული) 20 დეს., „კამარლო“—40 დეს., „პოლკოვნიკლო“ (ქობულაშვილისეული მამული). 17 დეს., „ციხე—ყალაგან“ 15 დეს., „რატევანი“ (მანთაშევისეული)—14 დეს.

ოზურგეთის მაზრაში—აკეთის თემში თავდგირიძისეული მამული 90 ქცევა, ჩოხატაურში—„გორა“ 50 დეს., სოფ. მაყვალეთში ნაკაშიძისეული მამული 50 დეს., სოფ. ზვანში—8 დეს.

შორაპნის მაზრაში—თერჯოლის თემში 12 ქცევა, ჟორეთის თემში 25 ქცევა, საქარის თემში—7 ქცევა.

ტფილისის მაზრაში—მარტყოფში, სართიჭალაში, დიღომში და საღარაშენში (სულ 16 დესეტინა).

რაჭის მაზრაში—ონში „გორტხი“ 3 ქცევა, წინეთში—4 ქცევა.

ქუთაისის მაზრაში—ნიკოლაძისეული მამული—29 ქცევა, კორჯის რაიონში—50 ქცევა, სოფელ ვანში თვალაძისეული მამული 23 დეს.

ამერიკულ ვაზის სანერგეები, რომელიც არის მევენახეობისა და მებაღეობის ქვე-განყოფილების გამგებლობაში და რომლის მიზანიც არის ვენახეობის გაშენება და მათი წესიერი მოვლა ფილოქსერის გაჩენის გამო.

სიღნაღის მაზრაში—ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგე 50 დესეტინა.

თელავის მაზრაში—ამერიკულ ვაზის სანერგე, იყალთოში 35 დესეტინა, და ამერიკული ვაზის სანერგე კონდოლში 15 დეს.

გორის მაზრაში—ალიანის ვაზის სანერგე 5 დესეტინა. მერძეობის საცდელი-საჩვენებელი ფერმები, რომელიც მესაქონლეობის ქვე-განყოფილების გამგებლობაშია, რომელიც ხელს უწყობს ჯიშიან საქონლის გავრცელებას და სადაც აგრეთვე სწარმოებს უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობა.

გორის მაზრაში—ფერმა ციხის ჯვარში, ბაკურიანის ახლოს მდებარე.

ტფილისის მაზრა—ოლღას სახელობის ფერმა განყოფილებით ტფილისში, ვორონცოვის ქ. № 110.

ესევე კომისია ადგენს იმ მეურნეობათა სიას, რომელთაც 1921—1923 წლებში რაიმე საფუძვლიანი სამელიორაციო სამუშაო შეასრულეს და რომელთაც მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის ძალით შეღავათი ეკუთვნით გადასახადის გაღების დროს.

ამავ კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ აღმოსავლეთს საქართველოში დასაბეგვრ ობიქტების აღნუსხვა დასრულდა, გადასახადის განაწილება თავდება და იწყება თვით გადასახადის აკრების ხანა და დაადგინა, გადასახადის წარმატებით აკრებისათვის, გაბმული იყოს უფრო მჭიდრო და ცოცხალი კავშირი ცენტრსა და ადგილებს შორის, სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა გაგზავნის საშუალებით.

გაურჩეველი ბრინჯი სამეურნეო გადასახადის ანგარიშში.

ა. | კ. სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა საქართველოსი, სომხეთის და აზერბეიჯანის სახალხო სასურსათო კომისარიატებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ სახელმძღვანელოდ გაუგზავნეს დადგენილება ხორბლის ერთეულის ეკვივალენტების შესახებ და განუმარტეს, რომ სასურველი არ არის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში გაურჩეველ ბრინჯის მიღება, რომელსაც ხშირად ნედლს აბარებენ და ჩქარა ფუჭდება, ამას გარდა საგანგებო მოვლა-შენახვას მოითხოვს და სარევიზიოდაც ძნელია; ამ მოსაზრებით გაურჩეველ ბრინჯისთვის დაწესებულია მაღალი ეკვივალენტი—2 ფუთი ერთს ფუთს ხორბლეულის ერთეულზე. სასურსათო გადასახადის წარსულ კამპანიების დროს შემჩნეული იყო გადასახადის გვიან ჩაბარების შემთხვევები იმ საბაბით, რომ მას გადაიხდიდნენ ბრინჯით, რომელიც სხვა კულტურებზე ბევრად გვიან მოდის. წელს ყოველგვარი ზომა უნდა იყოს მიღებული ასეთ შემთხვევების განმეორების წინაღმდეგ. ყოველი ასეთი განცხადება დაწვრილებით უნდა იყოს შემოწმებული და გამოძიებული.

შეღავათები სამელიორაციო სამუშაოს შესრულებისათვის

ა.-კ. სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ინსტრუქცია გამოაქვეყნეს სამელიორაციო სამუშაოს შესრულებისთვის შეღავათების აღმოჩენის წესის შესახებ. ამ ინსტრუქციის ძალით ის მეურნეობანი, რომელთაც 1921—1923 წლებში თვალსაჩინო სამუშაო შეასრულეს მიწების გამოსაშრალებლად, ქვიშისაგან გასაწმენდად, ხევების ამოსავსებად და სხვა, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განთავისუფლებულნი არიან იმ გადასახადის 25 პროცენტის გადახდისაგან, რომელიც უწევს მელიორაცია ქმნილ მიწის სივრცეს. ეს შეღავათი უნდა მიეცეს იმ მეურნეებს, რომელთაც ზემოაღნიშნული სამუშაო შეასრულეს პირადად თვითონ, საკუთარის საშუალებებით. თუ ასეთი სამუშაო შესრულებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ, მაგალითად წყალთა სამართველოს მიერ, მაშინ მეურნეობას შეღავათის მიღების უფლება არა აქვს. მეურნეობის მიერ სამელიორაციო სამუშაოს შესრულება ყოველს ცალკე შემთხვევაში წერილობით უნდა იყოს დამოწმებული ადგილობრივის საუბნო, ან სათემო აღმასკომის მიერ. პატარა არხების გაყვანა, ან მცირე ჯებირების გაკეთება და საერთოდ ისეთ უმნიშვნელო სამუშაოს შესრულება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ჩვეულებრივს ფარგლებს არ სცილდება, გადასახადის გასტუმრების დროს შეღავათის უფლებას არ იძლევა. იმ მეურნეობათა სია, რომელთაც სამელიორაციო სამუშაო შეასრულეს, უნდა შეადგინოს სამაზრო აღმასკომმა სათემო ან საუბნო აღმასკომის ცნობების მიხედვით. ეს სია ეგზავნება ჯერ სამაზრო საგადასახადო სამეულს, შემდეგ რესპუბლიკანურს საგადასახადო კომისიას და ბოლოს რესპუბლიკანურს სახალხო სასურსათო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ. დასასრულ ეს დამტკიცებული სია ცნობად უნდა გაეგზავნოს ა.-კ. სახალხო სასურსათო კომისარიატს და ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

სიღნაღის მაზრაში

საგადასახადო ინსპექტორ ამხ. გროზდოვის მოხსენებებიდან.

შეიძლებოდა გვეთქვა, სიღნაღის მაზრაში აღწერამ კარგად ჩაიარა, რომ იქ ადგილი არ ჰქონდეს ერთის დამახასიათებელს და თავისებურს გარემოებას, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით სიღნაღის მაზრაში ირიცხება 42.435 დესეტინა სახნავი, ხოლო 1913 წლის დაბეგვრის მასალების მიხედვით სახნავის სივრცე უდრის 103 482 დესეტინას. წრევანდელი აღწერა იძლევა 47.901 დესეტინას. საგადასახადო კომისიის გაფართოებულ კრებაზე სახ. სასურსათო კომისარიატი, როგორც საგადასახადო ინსპექტორმა, ისე სამაზრო სასურსათო კომისარმა, საფინანსო ინსპექტორმა და აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგემ აღიარეს, რომ სახნავის შესახებ უფრო სწორე ცნობებს იძლევა 1919 წლის აღწერა და იქ აღნიშნული ჯამი სინამდვილეს შეეფერებაო. სახნავის შემცირება 50 პროცენტზე მეტია, მათი აზრით, ქიზიყის მიწათ-მფლობელობის თავისებურ ხასიათით.

ქიზიყი სიღნაღის მაზრის სამ მეოთხედს შეადგენს და მიწას მფლობელობს სათემო საფუძველზე. ეს წესი უხსოვარ დროიდან არსებობს. თუ ცა მთელს საქართველოში ხორცი დება აგრარული რეფორმა, მაგრ ქიზიყში დღემდე ხელუხლებლად ა დატოვილი მიწის მფლობელობის სარგებლობის პირობები. ქიზიყელ თავის საკუთრებად სთვლის მხოლო იმ მიწას, რომელიც დასთესა და დაკა თხვის დროს მხოლოდ ამ მიწას გიჩ ვენებთ. დასასვენებლად დატოვილი მიწა მთელი თემის სარგებლობაში იმყოფება და თემის უფლებაა როგორ მოიხმარონ იგი,—თავის საჭიროებისათვის, თუ იჯარით გასცეს.

თუ ამ გარემოებას მხედველო მივიღებთ, მაშინ ადვილია ახს სი, თუ რად არის შემცირებუ წის რაოდენობა აღწერის ცნობებ მაგალითად ქვემო მაჩხაანში 10.000 დესეტინა სახნავია, ხოლო იქ წელს დათესილია და ნაჩვენებია 1.337 ნახ. დესეტინა. ასევეა სხვა რაიონებშიაც ვიდრე ქიზიყს აგრარული რეფორმა არ შეხებია, ძალაუნებურად ამ გარემოებას უნდა შეურიგდეთ.

რაც შეეხება გადასახადის აკრების ფორმას, მაზრის მომეტებული ნაწილი იმის მომხრეა, რომ ფულად იყოს აკრებილი. აქ სამოქალაქო გადასახადის აკრებამ საკმაოდ წარმატებით ჩაიარა; მაგალითად თელავის მაზრასთან შედარებით. თვითეულ გადამხდელის უდიდესი გადასახადი შეადგენდა 15 მილიონ მანეთს. აკრებილია გადასახადის 90 პროცენტი. ფულის ტრიალი სიღნაღის მაზრაში, რაიც თელავის მაზრას არ ემჩნევა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ სიღნაღის მაზრის მოსახლეობა მოძრა ხალხია, გარედ გადის და ვაჭრობას მისდევს.

„გაფართოება აღმოსავლეთით“

„პრავდას“ წერილი.

მოსკოვი. 26 ივლისი. ამხ. სამარინი გაზ. „პრავდა“-ს მოწინავე წერილში „გაფართოება აღმოსავლეთით“ სწერს: „როდესაც პოლონეთის მუშები იწყებენ აქტიურ ბრძოლას, პოლონეთის იმპერიალისტები ემუქრებიან საბჭოთა რესპუბლიკებს. 1921 წლ. შემოდგომაზე, როდესაც მთელ პოლონეთს მოედო გაფიცვების ტალღები, პოლონეთის პრემიერის ორგანო „კურიერ ლვოვსკი“ განსაზღვრული მოქმედებით ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთს იმ მომენტში, როდესაც ეს სრულიად არ იქნება მოსალოდნელი. ამ მუქარას საწინააღმდეგო მოქმედება მოჰყვა არა მარტო პოლონელ მუშებში, არამედ პოლონელი ვაჭრებიც წინააღმდეგ წავიდენ. ვიტოსი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

დღეს ვიტოსი ხელახლა იმუქრება, პოლონეთის გენერალური შტაბი ამზადებს შეიარაღებულ ძალებს. 270000 ჯარისკაცისაგან ეწყობა კადრი, რათა მობილიზაციით შეაგროვონ დივიზიათა დიდი რაოდენობა. ფარულ შეიარაღებულ ფაშისტურ ორგანიზაციებში ითვლება 100.000 კაცი. მარტში გაწვეული იყო რამდენიმე წლების ჯარისკაცები გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში სავარჯიშოთ. ეს საიდუმლოთ ხდებოდა. როდესაც პოლონეთში ხელახლა იფეთქა საგაფიცვო მოძრაობამ, როდესაც დანციგიდან არაფერი გამოვიდა, როდესაც ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია ჩაიშალა, ვიტოსმა წამოროშა ის, რასაც საიდუმლოთ ინახავდა გარეშე საქმეთა მინისტრი. ტარნოვში გამართულ მიტინგზე ვიტოსმა განაცხადა: „პოლონეთი წავა არა დასავლეთით, არამედ აღმოსავლეთისაკენ. ამ მუქარას ისეთივე შედეგი მოჰყვება, როგორც 1921 წელს. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მტკიცედ იდგომება თავის ინტერესების სადარაჯოზე.

დაშნაკელების დაშლა

თეირანი. 25 ივლისი. თავრიზში მყოფ ემიგრანტ დაშნაკელების შორის გათიშვა მოხდა. იმპერიალისტურ ომში მონაწილე 98 მებრძოლმა მოაწერეს ხელი დეკლარაციას დაშნაკელთა ბელადების წინააღმდეგ და აირჩიეს დელეგაცია საბჭოთა ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად, რათა მათ სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცეთ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ა. კ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილის ამხ. ტაგიევის განცხადება.

მოსკოვი. ა. კ. ს. ფ. ს. რ- სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილემ ამხ. ტაგიევმა გაზეთებში გამოაქვეყნა შემდეგი განმარტება; „ფრანგულ გაზეთ“-ის „ჟურნალ დედებას“-ს 28 ივნისის ნომერში მოთავსებულია ლონდონიდან მიღებული ცნობა, თითქოს აზერბეიჯანში დამარცხებულ იქნა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული აჯანყება? ამიერ-კავკასიის ფედერაციის სრულ უფლებიანი წარმომადგენლობა აცხადებს, რომ აზერბეიჯანის საზღვრებში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ არავითარ აჯანყებას არ ჰქონია ადგილი და რომ აზერბეიჯანის მოსახლეობა მშვიდობიან შრომას ეწევა, რომელიც მიმართულია თავის ქვეყნის ეკონომიური ძლიერების გამტკიცებისაკენ.

სომხეთი

ამერიკული კომიტეტის მდივნის ვიკრის ჩამოსვლა.

ალექსანდროპოლი. 26 ივლისი. ალექსანდროპოლში ჩამოვიდა ახლო-აღმოსავლეთში დამხმარე ამერიკელი კომიტეტის მდივანი ვიკრი, ამერიკულ კომიტეტის ფინანსიურ რწმუნებულის წარმომადგენელი კავკასიაში იარროუ და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები—ამხ. მრავიანი და ერზიკიანი. ჩამოსულთ შეხვდნენ ამერიკულ კომიტეტის ყველა თავშესაფარებში მყოფი ბავშვები, შეხვდნენ აგრეთვე ამერიკულ კომიტეტის მუშები წითელ დროშებით ხელში. შესდგა მიტინგი, სადაც იარროუმ სთქვა: „ახალგაზრდა მოქალაქენო, ჩვენ გამზადებთ თქვენ იმ იმედით, რომ თქვენს ეხლანდელ მთავრობასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშავოთ ქვეყნის ასაყვავებლათ“-ო. ამხ. მრავიანმა სთქვა: „მთავრობა ენერგიულათ ზრუნავს თქვენს მომავალზე და იმედი აქვს რა ამერიკულ კომიტეტის დახმარებისა, თქვენ შუაგზაზე არ მიგატოვებთ“-ო. მოსულთა საპატივცემლოთ ალექსანდროპოლის აღმასკომმა ბანკეტი გამართა.

კოოპერაცია.

ერევანი. 25 ივლისი· ლორის რაიონში გაძლიერებული მუშაობაა კოოპერაციის გასაფართოებლად. სომხეთის კოოპერატივთა კავშირმა კოოპერატივებს დაურიგა 2300 ოქროს მანეთად ღირებული საქონელი. კოოპერატივების წევრთა გასამრავლებლად, საწევრო გადასახადი შეამცირეს.

პედაგოგიური კურსები.

ჯალალ-ოღლი, 25 ივ. ივ. გასულს ჯალალ-ოღლსა და ვორონცოვკაში იხსნება საზაფხულო პედაგოგიური კურსები. განზრახულია, ლექციების გარდა, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობაც. ლექციების კითხვა 6 კვირას გასტანს. მოწვეულია საგანგებო ლექტორები ერევანიდან.

გუმბრი. 25 ივ. ივლ. გაიხსნა სპეციალური პედაგოგიური სამაზრო კურსები. ლექტორებად მოწვეულია საუკეთესო პედაგოგები. კურსებს ხელმძღვანელობას უწევს ამხ. რაშმაჯანი.

პარტიული ცხოვრება

სუფსა.

15 ივლისს შესდგა კომპარტიის სუფსის ორგანიზაციის შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა უმრავლესობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. მელიტონ გურგენაძე, მდივნად გაიოზ ცინცაბაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება სამაზრო რაიკომების თათბირის გარშემო, 2. კანდიდატების პარტიაში მიღების შესახებ, 3. გლეხთა საურთიერთო დახმარების შესახებ, 4. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და 5. რელიგიის გარშემო.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. მელიტონ ტაკიძემ, რომელმაც კრებას გააცნო ხსენებულ თათბირის შინაარსი და მისი მუშაობის ხასიათი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელს გურიაში, როგორც ეს თათბირზე გამოირკვა, პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს ზოგიერთი რაიონების გამოკლებით. თათბირმა დაავალა პასუხისმგებელ მდივნებს გააძლიერონ პარტიული მუშაობა. კრებამ იქონია მსჯელობა პარტიაში შემოსვლის მსურველთა შესახებ და მათი დაწვრილებით გადასინჯვის შემდეგ გამოიმუშავა სია პარტიაში მისაღები პირების.

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხანაგი. კრება სიამოვნებით ხვდება ასეთი კომიტეტების დაარსების აზრს, სცნობს მას მიზანშეწონილად და ადგენს მიიღოს ყოველგვარი ზომები მის ცხოვრებაში გასატარებლად.

რელიგიის შესახებ აღნიშნული [illegible], რომ ანტირელიგიური კამპანია [illegible] ცა სასურველათ ჩავატარეთ, მაგრამ მთელი მასის გონება ჯერ კიდევ არ არის სრულიად განთავისუფლებული სარწმუნოებრივი გავლენისაგან ამიტომ საჭიროა დიდი ხნით სისტემატიური მუშაობა და ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. გარდა ამისა [illegible]ში შეტანილია, რომ თითეულ კომუნისტს ეკრძალება ღმერთის სახელის ახსენოს რაიმე ლაპარაკის დროს. მაგ. თუ მას სჭირია დაიფიცოს „ღმერთი თუ მწამს“. უნდა დაიფიცოს „სინდისი თუ მწამს“ და სხვა.

კრება საღამოს 6 საათზედ დაიშალა.

ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილეში? სწორეთ იმ მენშევიკურმა გვარდიამ, რომელსაც ინგლისელების მოთხოვნით წითელი გვარდიის მაგიერ „სახალხო გვარდია“ დაერქვა, და რომელშიაც შემდეგ გარდამწყვეტი უმრავლესობა ბურჟუაზიულ ელემენტებს ეკუთვნოდა, სწორეთ ის ნაციონალურ უმცირესობასთან ბრძოლის დროს შეუბრალებლად სწვავდა სოფლებს, რასაც აშკარად აღიარებს ამ საზიზღრობათა გმირი ჯუღელი თავის წიგნში „მძიმე ჯვარი“. აღსანიშნავია, რომ „სახალხო გვარდია“ სჩადიოდა ამ მხეცობას და ძალადობას იმ მუშათა პროტესტების მიუხედავათ, რომელნიც შედიოდნენ მის შემადგენლობაში. მენშევიკურ „სახალხო გვარდია“-სთან შედარებით წითელი ლაშქარი, როგორც ამას ყველანი ერთხმათ აღიარებენ, იჭერს საქართველოში თავს საუცხოვოდ და სამაგალითოდ. მენშევიკური მთავრობა უკან დახევის დროს ანგრევდა ხიდებს და მან წაიღო თან საქართველოს საუკეთესო განძეულობა. მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ არამც თუ წაიღო რაიმე საქართველოდან, პირიქით, ის უნაწილებს საქართველოს თავის მცირე საშუალებასაც-კი უკანასკნელის ეკონომიურათ აღორძინებისათვის, და არავის შეუძლია უარყოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ აქვს გაკეთებული ამ მხრივ: კეთდება შარა-გზები, აღდგენილია ხიდები, შენდება ახალი რკინის გზა (ოზურგეთი), შენდება 5 ელექტრო-სადგური, აღდგენილია ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, შეკეთებულია აგარაკები ბორჯომსა და აბასთუმანში, შენდება აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა რუსეთიდან ჩამოტანილ მასალებიდან, აშენებულია სახალხო დასასვენებელი და საბავშვო სახლები, დაარსებულია მუშათა ფაკულტეტები, დაბეჭდილია და ვრცელდება მრავალი მარქსისტული ლიტერატურა სამშობლო ენაზე და სხვა და სხვა და ყველაფერს ამას სდევს თან არა რუსიფიკაცია საქართველოსი, როგორც ჩვენ გვაშინებდნენ, არამედ გამოწვეულია იგი საქართველოს ნაციონალურ კულტურის ასაყვავებლათ.

საქართველოს გასაბჭოებით წააგეს მარტო მემამულეებმა, მღვდლებმა და ბურჟუაზიამ. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მხოლოდ დღეს ამოისუნთქეს თავისუფლად. ამიტომაც რა გასაკვირველია, რომ ისინი, დააკვირდნენ რა საბჭოთა წესწყობილებას, მასიურათ სტოვებენ მენშევიკების პარტიას მიუხედავათ იმისა, რომ ამ პარტიას ღრმად ჰქონდა გაბმული საქართველოში ფესვები, მიუხედავათ იმისა, რომ მას საქართველოში თვალსაჩინო რევოლიუციონური ღვაწლი მიუძღვის წარსულში, სამწუხაროდ შორეულ წარსულში.

ამხანაგო მუშებო! უკანასკნელად ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენ თავს, გამოვსთქვათ სურვილი: დაე ჩვენი გამოცდილება, გამოცდილება პატარა, მაგრამ ბრძოლით მდიდარ საქართველოსი, იყოს თქვენი დამხმარე შემდეგი საკითხის გამოსარკვევათ, რომელ გზას მიყავს მუშათა კლასი თავისუფლებისაკენ: მენშევიკურ გზას მე-2-ე ინტერნაციონალისას, გზას შეთანხმებისას ბურჟუაზიასთან, თუ ბოლშევიკურ გზას მე-3-ე ინტერნაციონალისა. ჩვენ ჩვენთვის უკვე საბოლოოდ გადავჭერით ეს საკითხი.

მენშევიკურმა მთავრობამ, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ორგანიზაციების უმრავლესობის მოთხოვნისა, ჩამოხსნა თბილისის სასახლეზე წითელი დროშა და შესცვალა იგი სამფეროვანი ნაციონალური დროშით. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელახლა ააფრიალა საქართველოში წითელი დროშა და ფიცსა ვსდებთ, რომ შევძლებთ დავიცვათ იგი მუშათა კლასის აშკარა მტრებისა და ცრუ მეგობრებისაგან.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კონფერენცია დიდის აღფრთოვანებით იღებს მიმართვას რუსეთის პროლეტარიატისადმი, მიმართვის მიღების დროს დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში.

მიმართვა რუსეთის პროლეტარიატისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

რევოლიუციონური ბრძოლის პროცესში ჩვენი გზები გაიყარნენ. მრავალი წლები ჩვენ ვიყავით ჩამოშორებულნი თქვენგან. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ დაბნეული ვიყავით, ვინაიდან ჩვენი პარტია ეძებდა დახმარებას დასავლეთ ევროპის მხრივ, გაემიჯნა რა იგი ოქტომბრის რევოლიუციას.

მაგრამ ეს დაბნევა გამოფხიზლებით უნდა დამთავრებულიყო. და ეს მომენტი უკვე დადგა.

ჩვენ ხელ-ახლა გიწოდებთ ამხანაგურ ხელს და ვსდებთ ფიცს ვიბრძოლოთ მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ თქვენთან ხელიხელ ჩაკიდებული.

და ორ მჭიდროთ დაკავშირებულ ერის პროლეტარიატის ამ მტკიცე კავშირს ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს.

თუ საბედისწერო შეცდომებმა ჩვენ ჩამოგვაშორეს ნამდვილ პროლეტარულ გზას, იმავე საბედისწერო შეცდომებს გამოვყევართ ეხლა ფართო გზაზე. ამ შეცდომებმა დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ საჭიროა გაერთიანება თქვენთან ერთად ერთ მჭიდრო პროლეტარულ ოჯახში და იგივე შეცდომები გვიჩვენებს ჩვენ მუშათა საქმისათვის ბრძოლის ნამდვილ გზას.

სალამი თქვენ, ამხანაგებო! თქვენ სახელოვნად და გაბედულად, მიუხედავათ ყოველგვარ სტიქიათა, განვლეთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცებისათვის რევოლიუციონური ბრძოლის მძიმე ხანა.

მაგრამ ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მუშათა კლასის მტრებს არ სძინავთ.

ისინი მზად არიან ყოველ წუთში თავს დაგვესხან ჩვენ და ცეცხლს მისცენ რევოლიუციის მონაპოვარები.

მაგრამ ამ ბრძოლაში თქვენ მარტონი არა ხართ. ძველებურად გვიგულეთ ჩვენც თქვენს სახელოვან რიგებში.

გაუმარჯოს პროლეტარულ რუსეთს:

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს—მსოფლიოს სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს!

პარტიაში დარჩენილ და იზოლიაციაში მყოფ მენშევიკებისადმი

ამხანაგებო!

თქვენ ჯერ კიდევ არ გაგიწყვეტიათ კავშირი მენშევიზმის ძველ ტაქტიკასთან. თქვენ ჯერ კიდევ განაგრძობთ იმ პარტიის რიგებში ყოფნას, რომელმაც თავისი ტაქტიკით უღალატა მუშათა კლასის ინტერესებს, რომელსაც მიჰყავს რევოლიუცია და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისაკენ, ერთიანდება თავად აზნაურებთან, ანტანტასთან და მუშათა კლასის ყველა მტრებთან.

ამხანაგებო! ზედმეტია თქვენი რწმუნება ყველაფერ ამაში. თქვენ თვითონ მშვენივრად ხედავთ ამას, კარგათ გესმით, თუ საით მიჰყვებართ ძველ ხაზს.

მაგრამ ბევრი თქვენგანი თავმოყვარეობით ვერ ბედავს ძველ ტაქტიკასთან კავშირის გაწყვეტას. ხშირად ხელს უშლიან მათ ცრუ-მორწმუნეობის [illegible].

მაგრამ საჭიროა ამ გრძნობის დაძლევა, რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს, ვთქვათ, რომ თქვენ გსურთ დარჩეთ პროლეტარიატის რიგებში!

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ დაემორჩილოთ პროლეტარიატის ნებისყოფას, აღიაროთ პროლეტარიატის ძალა-უფლება და იმუშაოთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სასარგებლოთ.

ეს თქვენ უნდა ჩაიდინოთ, სანამ გვიან არ არის, სანამ ისტორიას საბოლოვოთ არ გამოუტანია თავისი მრისხანე განაჩენი თქვენს, როგორც მუშათა კლასის მოღალატეების წინააღმდეგ.

მუშათა მასამ, ძველმა რევოლიუციონერებმა უკვე გასწყვიტეს კავშირი მენშევიზმთან, და ეს მასა გელით თქვენ; ის დარწმუნებულია, რომ თქვენ დაბრუნდებით ჩვენს ოჯახში და ძალიან ჩქარა ბარიკადის იმ მხარედან გამოგვიწოდებთ ძმურ ხელებს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციისადმი

მარქსისტული ახალგაზრდობა—ეს მუშათა კლასის სიამაყეა, ეს რევოლიუციონურ პროლეტარიატის ახალი მეომარი ჯგუფებია, რომელნიც მარქაფში იმყოფებიან.

მაგრამ მარქსისტულ ახალგაზრდობას არ შეუძლია მუშათა კლასის წინააღმდეგ წასვლა. ის მუშათა კლასის ხორცი და სისხლია. ამიტომ ის პროლეტარიატის რიგებში უნდა იდგეს.

ამხანაგებო! ხართ რა მტრულათ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, თქვენ ცდებით ისევე, როგორც ცდებიან სხვა მრავალი. საბჭოთა ხელისუფლება—ეს რევოლიუციონურ მუშების ხელისუფლებაა, თქვენი ხელისუფლება.

ამიტომ მუშების წარმომადგენლებმა, ყოფილმა მენშევიკებმა, რომელთაც შეიგრძნეს თავის შეცდომები და მუშათა მოძრაობის გადასინჯულ გზაზე დადგნენ, მოგიწვიეთ თქვენ ჩვენს რიგებში, ჩვენთვის დახმარების გასაწევათ.

წითელი დროშა ძველი მებრძოლების დაღლილ და დაძველებულ ხელიდან უნდა აიღოთ თქვენ.

ამხანაგებო! თქვენ უნდა შესცვალოთ ბრძოლაში დაღლილი რევოლიუციონერები.

ჩვენ გვინდა ახალგაზდური ალტკნება. რევოლიუციონური ბრძოლა, თქვენს ახალგაზდურ გატაცებას მოითხოვს.

ამიტომ ჩვენ წინადადებას გაძლევთ თქვენ მოაწყოთ კონფერენცია და გამოიმუშაოთ თქვენი შემდეგი პოზიცია:

მუშათა კლასთან თუ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მესამე არჩევანი შეუძლებელია.

და რადგან თქვენ მარქსიზმის პლატფორმაზე სდგეხართ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოხვალთ ჩვენთან, დაბრუნდებით ჩვენს პროლეტარულ ოჯახში.

გაუმარჯოს შეგნებულ მარქსისტულ ახალგაზრდობას, რომელმაც სწორათ გაიგო თავისი ამოცანები პროლეტარიატის წინაშე.

გაუმარჯოს ყველა რევოლიუციონურ მარქსისტულ ელემენტების მთლიანობას მუშათა კლასის დიქტატურის პლატფორმაზე.

გაუმარჯოს **კომინტერნს!**

მისალმებანი

კონფერენციამ მისალმებითი დეპეშები გაუგზავნა კომინტერნს, ამხ. ლენინს, ტროცკის, სტალინს და ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს.

დღის წესრიგის ამოწერის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ს. ორჯონიკიძეს და მ. ცხაკაიას** (სიტყვები მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ახლობელ №-ში).

საინციატივო ბიუროს არჩევა

კონფერენციამ აირჩია საინიციატივო ბიურო ყოფ. მენშევიკების სრულიად საქართველოს კონფერენციის მოსაწვევად. ბიუროში შედიან:

1. ფარნიევი.
2. ლუკაშევიჩი.
3. რუხაძე.
4. კაიტაჯიანცი.
5. სიხარულიძე.
6. მიკირტუმოვი.
7. გნოევოი.
8. ვაჭარაძე.
9. თედოშვილი
10. ალიხანოვი.
11. ქორიძე ი.

დელეგატების არჩევა

კონფერენციამ აირჩია ყოფ. მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობაზე დასასწრებად შემდეგი დელეგატები:

1-ლი რაიონიდან:

1. ა. ფარნიევი, 2. გნოევოი, 3. ჰანტურია, 4. სიხარულიძე, 5. ჩლაიძე, 6. ლელაშვილი, 7. ლუკაშევიჩი, 8. ქორიძე, 9. ნიკოლაიშვილი, 10. ნუნკინი, 11. ბალიანცი, 12. ვაშაკიძე, 13. აჩხაზავა, 14. ტ. მიქაძე, 15. არ. მაკარეიშვილი, 16. ს. წერაძე, 17. დოცენკო, 18. რაკვიაშვილი, 19. კუდრიავცევი, 20. ბატიენასაშვილი, [illegible] 23. ბოჭორიშვილი, 24. ნარიმანიძე, 25. თევზაძე, 26. ჯიქია, 27. ბაცანკალაშვილი. 28. ხარაბაძე, 29. ცოცხალიშვილი, 30. ბერიშვილი, 31. ოდეშელიძე, 31. ცინცაძე, 33. მერგიშვილი.

მე-2 რაიონიდან.

34. ანტიერი, 35. ბუღიაშვილი, 36. ქართველიშვილი, 37. ვიგორბინი, 38. ზენაშვილი, 39. ზურაბიშვილი, 40. გორდეზიანი, 41. ლეგელია, 42. ვარსამაშვილი, 43. თედოშვილი, 44. ლაპკინი, 45. ნინუა, 46 შმელიოვი, 47. თორტიკია, 48. სუსლიკოვი, 49. ქოჩიაშვილი.

მესამე რაიონიდან.

50. ვაჭარაძე, 51. ბესოშვილი, 52. ადამოვი, 53. გელაშვილი, 54. გაა- [illegible]

მეოთხე რაიონიდან:

56. მიკირტუმოვი, 57. კაიტაჯიანცი, 58. ოგანეზოვი, 59 რუხაძე. 60. თოფაძე, 61. გერსამია, 62. უმბრიევი, 63. ალიხანოვი.

კონფერენციის დახურვა

ამხ. ფარნიევის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

რუბიკონს გადავლახავთ

დამთავრდა ყოფილ მენშევიკების თბილისის საერთო საქალაქო კონფერენცია...

დასრულდა კიდევ ერთი დიდი საქმე, მიმართული მშრომელთა ძალაუფლების განმტკიცებისაკენ.

რა მოგვცა ამ კონფერენციამ, როგორია მისი შედეგები, რა კეთდებოდა იქ, რას მოგვიტანს ჩვენ იგი?

ეს საკითხები ბევრს აღძრა და აღძრავს.

რით იყო გამოწვეული ეს კონფერენცია...

და განა ეს აშკარა არ არის.. მუშათა მასებს, რომელნიც დაიბნენ რევოლიუციონურ ბრძოლაში, რომელთაც დაჰკარგეს გზა, ბოლოს და ბოლოს უნდა ეპოვათ ეს გზა.

და კიდეც იპოვეს... და მტკიცედაც დადგნენ ახალ გზაზე...

ორი-ათასი მუშის ხმა იყო წარმოდგენილი ამ კონფერენციაზე.

კონფერენცია ლაპარაკობდა ორიათასი მუშის, მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სახელით... იგი ლაპარაკობდა ძველ მებრძოლთა სახელით, რომელთა სტაჟიც იწყება 1900—03 – 05 წლებიდან.

და მან გამოიტანა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება 2000 მუშის სახელით.

ეს-იყო ქალაქის მთელი ყოფილი სოციალ-დემოკრატია.

ორგანიზაცია,—თუ არ ჩავთვლით იმ წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს, რომელნიც წინად დასტობით ეწერებოდენ ჩვენს პარტიაში და რომელთაც დიდი ხანია დაფხრიწეს თავიანთი მანდატები და აღარ სურთ მოიგონონ ამ შემთხვევაზე.

3 დღე გაგრძელდა კონფერენცია... და სულ ახალ-ახალი კადრები ემატებოდა მას...

გამოეშურა ციხე... გამოეშურენ ისინი რომელთაც ვერ მოასწრეს კონფერენციამდე მენშევიკურ პარტიიდან გასვლა.

მართალი იყო ამხ. ფარნიევი, როდესაც ის ამბობდა:

ჩქარა დავამთავროთ კონფერენცია, თორემ მთელი დრო იკარგება ახალ-ახალ ამხანაგების მიღებაზეო.

თუ ზოგიერთ სარაიონო კონფერენციაზე ზოგიერთები ჯერ კიდევ გრძნობდენ თავს გზაჯვარედინზე და ვერ გადაეწყვიტათ დაბრუნებულიყვენ უკან, განეგრძოთ დგომა გზაჯვარედინზე, თუ გაბედულად წასულიყვენ წინ, ტფილისის კონფერენციაზე რუბიკონი ერთბაშად იქნა გადალახული.

მართალია, პირველ დღეებში ზოგიერთები კიდევ იცქირებოდენ უკან, ეტყობოდათ, რომ მათ ვერ დაეძლიათ უხერხულობის და თავმოყვარეობის გრძნობა, მაგრამ მესამე დღეზე კონფერენციამ ნათლად დაგვანახვა ყველაფერი, რომ საბოლოვოთ გამოირკვა ის გზა, რომლითაც უნდა წასულიყვენ.

ასე ხდება ყოველთვის...

როდესაც ასაფლავებ საყვარელ ადამიანს, ძნელია მასთან განშორება, არ გინდა მოშორდე გვამს... მაგრამ მაინც ეთხოვები მას...

ჩვენ გვიყვარდა მენშევიკური პარტია... მრავალი წლები ვმუშაობდით მასში...

და ეხლა, როდესაც იგი მიდის შემცდარი გზით, როდესაც სისწორით არ არის გაგებული რევოლიუციის ამოცანები, როდესაც იგი არ ფიქრობს სწორ გზაზე დადგომას, ჩვენ ვეთხოვებით მას... მაგრამ ვიცქირებით რა უკან, ვიგონებთ ამ პარტიის დროშის ქვეშ რევოლიუციონურ ბრძოლის წლებს და რაღაც გვებრალება, რომ დღეს გვიხდება ამ პარტიის დასაფლავება.

ასე მოუვიდათ ზოგიერთ ამხანაგებს, რომელნიც კიდევ სენტიმენტალურად ელაპარაკებოდენ ქართველ მენშევიზმს.

მაგრამ ეს სენტიმენტალობა იყო გამობარი, მგრძნობიარე სიტყვები ოდესღაც საყვარელ არსების ცხედართან. ლამაზი სიტყვები, წიგნების თაროზე მიგდებულ, დამტვერულ, დახეულ, მაგრამ ოდესღაც დიდი ინტერესებით წაკითხულ რომანიდან.

რომანი დასრულდა...

სამწუხაროდ, ტრაგიკულად...

გმირი, რომელიც აიმართა რევოლიუციონურ ტალღების ქედზე, ერთბაშად ჩამოვარდა და დაიღუპა... დაიღუპა სამუდამოდ...

სიცოცხლის საკითხი გადაჭრილია. აღარ არის საჭირო არც სიმღერები, არც ცრემლები...

კონფერენცია სწორ გზას დაადგა. იგი შეურიგდა ოქტომბრის რევოლიუციას, რომელსაც ჩვენ წინად სასტიკად ვებრძოდით...

იგი შეურიგდა რევოლიუციონურ პროლეტარიატის ნებისყოფას და გამოვიდა ფართო საბჭოთა გზაზე...

მან აღიარა პროლეტარიატის დიქტატურა და იგი დადგა მებრძოლ მშრომელთა მასების რიგებში...

მან გაუწოდა ძმური ხელი რუსეთის პროლეტარიატს და შეჰფიცა მას, რომ იბრძოლებს მუშათა კლასის იდეალებისათვის მის რიგებში.

გამოუცხადა რა ბრძოლა შოვინიზმს, მან გამოიმუშავა გზა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში ნაციონალურ მშვიდობიანობის დასამყარებლად.

მან მიმართა მოწოდებით იმ ამხანაგებს, რომელნიც კიდევ განაგრძობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას, დაბრუნდენ პროლეტარიატის რიგებში, თავი დახარონ წითელი დროშის, პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე და ერთად აწარმოონ ბრძოლა საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ.

გაიგონებენ კი ამ ძახილს?.. არ გაიგონებენ?.. უნდა გაიგონონ.. სანამ პარტიას არ გამოუტანია მათზე სასტიკი განაჩენი...

ბარიკადის იმ მხარედან უკვე გამოწვდილია ეს ხელები...

რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება...

და ახლოს არის ის დრო, როდესაც ჩვენ ყველანი გავერთიანდებით ერთ მშვიდობიან ოჯახში საბოლოვოდ განმზადებულ რეაქციის წინააღმდეგ.

ტფილისის კონფერენცია დამთავრდა.

დამთავრდნენ კონფერენციები ბევრ სხვა ადგილებშიაც.

ეხლა ჯერი სრულიად საქართველოს კონფერენციაზე მიდგა...

და თუ უფრო ურწმუნოები კიდევ განაგრძობენ სადმე მერყეობას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დიქტატურის ცნობის საქმეში, ისინი ამ დროისათვის, საქმით, ფაქტების მიხედვით იცნობენ მას.

საბჭოთა ხელისუფლების როგორც გუშინდელი, ისე დღევანდელი მტრები მტრები გაუკეპრობით, რომელთაც შემცდარად გაიგეს თავიანთი ამოცანები, მაგრამ სულიერად, არსებულ პირობების თანახმად, ტრადიციულად მეგობრები ძალიან ჩქარა გახდებიან მუშურ-გლეხური ხელისუფლების საუკეთესო დასაყრდნობად...

დაადგებიან ამ გზას, ვინაიდან არ არსებობს სხვა გზა, გარდა რეაქციისა.

მიიღებენ პროლეტარიატის დიქტატურას, ვინაიდან ყოველ სხვა პარტიას მივყევართ მუშათა კლასის მტრების დიქტატურისაკენ...

ტფილისის მუშებმა რუბიკონი გადალახეს.

ასე მოიქცენ ბევრ სხვა ადგილებშიაც.

მაგრამ რუბიკონთან ჯერ კიდევ დგანან ზოგიერთი მერყევი ელემენტები, რომელნიც აცილებენ რა თავის ძველ სიყვარულს სამარემდის, ვერ ბედავენ მასთან გამოთხოვებას...

მაგრამ დატირებული ცრემლები დაამშვიდებს მათ და ისინი ძალაუნებურად დასტოვებენ გახრწნილ გვამს..

ა. რუხაძე.

ბორჯომის რაიონის ყოფილ მენშევიკების საზოგადო კრება

იმ საერთო მოძრაობამ, რომელიც დაიწყო ქართ. სოც.-დემ. ქვედა ფენებში და რომელიც გამოიხატება ამ მასის ოქტომბრის რევოლიუციისკენ ორიენტაციაში, ბორჯომშიც ჰპოვა თავისი გამოძახილი.

24 ივლისს ადგილობრივ შუშის ქარხნის, რკინის გზის და სახერხ ქარხნის ყოფილ მენშევიკ მუშების საინიციატივო ჯგუფმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა:

ამხანაგებო!

იმპერიალისტურ ომის და რევოლიუციის მსვლელობაში სოციალ დემოკრატიის მენშევიკური ფრთა ასცდა წმიდა რევოლიუციონურ გზას და ოპორტუნიზმის ჭაობში გადაეშვა. საქართველოს სოციალდემოკრატია კი, დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, მოსისხლე მტრად გადაიქცა მუშათა და გლეხთა მთავრობის, მის დასამარცხებლად არ მოერიდა კავშირი შეეკრა ყოველი ჯურის რეაქციონერ ... ლოყაშვილის შავ რაზმებს. ქართველი სოც.-დემოკრატიის პროლეტარული ელემენტები, რომელნიც ორგანიულად დაკავშირებული არიან რევოლიუციასთან, რომელთაც დიდი მოღვაწეობა და თავდადება მიუძღვით განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში, თავიდანვე უარყოფითად შეხვდნენ სოც.-დემოკრატიის ამგვარ ტაქტიკას. ამიტომ შესდგა თუ არა ფეხი ქართ. სოც.-დემოკრატიამ გაკოტრების გზაზე, მას ჩამოსცილდა ამ პარტიის სულის ჩამდგმელი, მისი ქვედა-ფენები, პროლეტარული ელემენტები და პარტიას შერჩა წვრილი ბურჟუაზიული ნაწილი, რომელიც საქ. სოც.-დემოკრ. რიგებში მრავლად მოიპოებოდა. მუშათა შორის დიდი ხნით დაწყებულმა ჩამოშორების პროცესმა დღეს ორგანიზაციული სახე მიიღო და უკვე ფაქტია, რომ თბილისში, ხაშურში, ქუთაისში და სხვაგან მოხდა მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენციები ამ პარტიის ლიკვიდაციის მიზნით და იმ საძარცვინო საქმისათვის ბოლოს მოსაღებად, რომელიც დღეს მენშევიკურ პარტიის სახელით სწარმოებს და რაც ჩირქს სცხებს დი ბღალავს ყოველ გულწრფელ რევოლიუციონერ, ყოფილ მენშევიკის, გრძნობას.

ჯერი მიდგა, ამხანაგებო, ბორჯომის პროლეტარიატზე: თქვენც უნდა აღიმაღლოთ ხმა და გამოსთქვათ თქვენი აზრი იმ საერთო მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა საქართველოში მენშევიკურ პარტიის საქმიანობით. ყველა ყოფილ მენშევიკებიდან, ვისთვისაც ძვირფასია მთლიანი პროლეტარული ოჯახი, ვისაც ჩვენი საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის მომაკვდინებლად მიაჩნია ყოველივე უთანხმოება მუშათა რიგებში, ვისაც კიდევ შერჩენია რევოლიუციონური სისხლი, გამოცხადდით ოთხშაბათს, 25 ივლისს, დღის 2 საათზე ჩარხის წყალზედ, საიდანაც გავემგზავრებით ოქტომბრის კლუბში (ყოფილ საზოგადო საკრ. დარბაზში). დღის წესრიგში დგას შემდეგი კითხვები:

1) ქართულ სოც.-დემ. არალეგალურ ცეკას დღევანდელი მოღვაწეობა—მომხსენებელი აკ. ჭყონია, ყოფილი მენშევიკი და პასუხისმგებელი მდივანი რკინისგზელების კავშირის ცენტრ. გამგეობის;

2) დემოკრატიის თუ პროლეტარიატის დიქტატურა მომხს. **გ. ვარდოიანი**, ბორჯომის ქალაქის გამგეობის ყოფილი წევრი და ძველი ემიგრანტი რევოლიუციონერი;

3) არჩევნები გორის სამაზრო კონფერენციისთვის.

ძირს უთანხმოება პროლეტარულ რიგებში!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ხოლიდარობას!

დანიშნულ ვადაზე ბორჯომის რაიონის ყოფილი მენშევიკი მუშები მუსიკით და დროშით გამოცხადდენ ოქტომბრის სახელობის კლუბში. დარბაზი სავსებით გაჭედილი იყო. კრებას გარეშე მოქალაქეებიც დაესწრენ. საინიციატივო ჯგუფის სახელით კრებას გახსნილად აცხადებს ქ. ბორჯომის ყოფილი ქალაქის თავის მოადგილე, ძველი რევოლიუციონერი გ. ვარდოიანი. მუსიკა უკრავს ინტერნაცონალს. პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ-ბი: მუხურაძე მოსე (შუშის ქარ.), ელისაშვილი არჩ. (დეპო) და ვარდოიანი გ.

სანამ დღის წესრიგს შეუდგებოდენ, კრებას მხურვალედ მიესალმა ადგილობრივი პარტკომის მდივანი ამხ. ა. სიამაშვილი. მან მოკლედ აღნიშნა მენშევიკურ პარტიის რღვევის მიზეზები და დიდი სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ დღემდი დაქსაქსული მუშათა კლასის ნაწილმა ეხლა ჰპოვა სწორი გზა. ამის შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ჭყონია.

ამხ. ა. ჭყონიას სიტყვა.

აღნიშნავს რა იმის მიზეზებს, რამაც გამოიწვია ასეთი ღრმა გარდატეხა მენშევიკურ პარტიის რევოლიუციონურ ელემენტებში, მომხსენებელი ამბობს, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არ ყოფილა უბრალო ამბოხება... სადაც ... გვქონდა. რომ ოქტომბრის რევოლიუციას ღრმად არ ჰქონოდა გადგმული ფესვები რუსეთის სინამდვილეში, რომ მის გამარჯვება-განმტკიცებაში თავი არ დაედო რუსეთის პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება მეორე ინტერნაციონალის მოქმედებაზე. არკვევს მიზეზებს, რაც ხელს უწყობს ამ ორგანიზაციის ჯერ კიდევ არსებობას და გადადის ეროვნულ კითხვაზე. ერთ დროს უარესად ინტერნაციონალური და რუსეთის პროლეტარიატის მთლიან ფრონტის პლატფორმაზე მდგომი ქართველი ს.-დემოკრატია, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ არქინაციონალისტურ მიმდინარეობად გადაიქცა და ამ მხრივ დაშნაკელ-მუსავატელებიც კი უკან მიატოვა. ეროვნული შუღლი, როგორც შიგნივ, ისე ამიერ-კავკასიის ხალხებთან არ შეწყვეტილა სამი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველ მუშას და გლეხს მთელი ამ ხნის განმავლობაში იარაღი არ დაუშვია ხელიდან და მოკლებული იყო მშვიდობიან, აღმშენებლობით მუშაობის საშვალებას. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ეროვნულ შუღლს და სიძულვილს, თუ არ მივიღებთ სახეში რევოლიუციით გაბრაზებულ ბურჟუაზიის სისინს, სრულიად ბოლო მოეღო. ბოლოს ორატორი დაწვრილებით ახასიათებს მენშევიკურ ცეკას დღევანდელ მოღვაწეობას და ამბობს: ჩვენ საქვეყნოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ის, რაც დღეს მენშევიკურ პარტიის სახელით ხდება, არ არის ჩვენი სურვილის და წადილის გამოხატულება. უნდა აეხადოს ფარდა მენშევიკურ პარტიის ავანტიურისტულ მოღვაწეობას და ნათელყოფილ იქნეს, რომ მენშევიკურ პარტიის დღევანდელი მოქმედება გამოხატავს უპასუხისმგებლო ჯგუფის ნებას, რომელიც არ ემყარება ფართო მასის მისწრაფებაზე.

მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. ამხ. ჭყონიას შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. გ. ვარდოიანი.

ამხ. გ. ვარდოიანის სიტყვა.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება სოც.-დემოკრატიის ორ ბანაკად გათიშვის მიზეზებზე, რომლის მოწმე ის იყო როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში. ახასიათებს ერთი და მეორე მიმდინარეობის მოღვაწეობას და ამბობს, რომ დღეს გულახდილად უნდა ვაღიაროთ—გზა მენშევიკური ფრთის—დემოკრატიზმით სოციალიზმამდე— ყალბი და მიზანშეუფერებელი გამოდგა. ამის შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ რევოლიუცია ჯერ არ დასრულებულა. რომ ის პერმანენტული ხასიათისაა და ასკვნის, რომ, როცა ჩვენი მუშათა კლასის წინაშე ისმება კითხვა რევოლიუციისა თუ რეაქციისაკენ, საბჭოთა რესპუბლიკების თუ ანტანტისაკენო, უთუოდ თავის კლასიურ ბუნების ინსტინქტით ის რევოლიუციონურ რუსეთს ირჩევსო. დაბოლოს ვრცლად ჩერდება ორატორი ფაშიზმზე. აღნიშნავს, რომ ეს ერთობ საგულისხმო მოვლენაა ძველი ქვეყნის ბრძოლაში არსებობის შესანარჩუნებლადო. არკვევს მის წარმოშობის მიზეზებს და უპირისპირებს ფაშიზმს პროლეტარულ მთლიან ფრონტს, რომელსაც ხელმძღვანელობს მესამე კომინტერნი. წრფელ სალამს უძღვნის გამოფხიზლების გზაზე მდგომ ამხანაგებს და ამბობს, რომ მუშათა სოლიდარობა, მათი ურყევი და მთლიანი ფრონტი ესაა ერთი იმ პირობათაგანი, რომელიც ამ კლასს სრულს გამარჯვებამდე მიიყვანსო.

მუსიკა კვლავ ინტერნაციონალს უკრავს.

მოხსენებების შემდეგ იყო შეკითხვები და გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ყოფილ მენშევიკ მუშებმა. მოკამათე ორატორთა შორის აღსანიშნავია ძველი მუშის არ. როსტომაშვილის სიტყვა:

ამხ. ა. როსტომაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო, მე მთელი ჩემი სიცოცხლე რევოლიუციონურ მოძრაობას მიუტანე მსხვერპლად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ს.-დემოკრ. საფუძველი ეყრებოდა ჩვენში, ბორჯომის მუშათა პირველი გაფიცვის ერთ ერთი ხელმძღვანელი მე ვიყავი. ამიტომ ჩემს რევოლიუციონურ შეგნებას, მიუხედავათ იმისა, რომ მე მენშევიკურ პარტიის რიგებში მოვყევი, არაოდეს არ აკმაყოფილებდა ის ანტირევოლიუციონური საქმიანობა, რისთვისაც დღეს კიცხავენ ამ პარტიას. ნება მომეცით ეს ბრალდებები მე ჩემ მიმართ არ ჩავთვალო. მე თავიდანვე ვერ ვურიგდებოდი მენშევიკურ სამფეროვან დროშას. ჩემი ტრფობის საგანი წითელი დროშა იყო. მის ქვეშ ვიბრძოდი მე სიყრმიდანვე, მისთვის ვღვრიდი სისხლს და მის ქვეშ უნდა დავემარხო.

მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

დასასრულ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება დაშლილად აცხადებს მენშევიკურ პარტიის ხაშურის რაიონის ორგანიზაციას და მხურვალე სალამს უძღვნის მისგან გათიშულ მუშა-პროლეტარებს.

გორის სამაზრო კონფერენციაზე არჩეულ იქნა 16 კაცი:

1. ქალიაშვილი სერგო შუშის ქარხ. 1901 წ. 2. მალიძე ვასო შუშის ქარხ. 1917 წ. 3. ნოზაძე პავლე დეპო №. 4 გარაბცოვი პეტრე დეპო 1905 წ. 5. როსტომაშვილი არ. სახერხის ქარხანა 1898 წ. 6. ჩუბრიკიძე ალ. მუშის ქარხ. 1905 წ. 7. ელისაშვილი გ. შუშის ქარხ. 1907 წ. 8. გოგიბერიძე ილიკო დეპო 1905 წ. 9. ღონღაძე გიგა შუშ. ქარ 1912 წ. 10. ქურდაძე ლადო რკ. გზა 1905 წ. 11. მუხურაძე მოსე შუშ. ქარ. 1905 წ. 12. ჯაფარიძე სიმონ ტყის მცველი 1912 წ. 13. კორძაია ისიდორე სახერხი ქარხ 1905 წ. 14. ჯიოშვილი მიხა შუშის ქარხ. 1907 წ. 15. ვარდოიანი გიორგი მოქალაქეებიდან 1898 წ. 16. ელისაშვილი არჩილ დეპო 1901 წ.

კრება აღტაცებით ჩატარდა ეს დღე ისტორიულ დღეთ ჩაითვლება ბორჯომის პროლეტარიატის ცხოვრებაში.

გორის ყოფილი მენშევიკების დეპეშა ამხ. სტალინს

მოსკოვი. რ. კ. პ. ც. კ.

ამხ სტალინს

თქვენი სამშობლო ქალაქ გორის მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრების საერთო კრება, რომელიც დადგა სავსებით პროლეტარულ დიქტატურის პლატფორმაზე და გადაჭრით უარყო გზა „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“, მხურვალე სალამს გიგზავნით თქვენ და პირობას იძლევა მთელის ძალღონით დაიცვას ის მონაპოვარნი, რომელნიც მისცა მშრომელ ხალხს **ოქტომბრის რევოლიუციამ**. ჩვენ შორის არიან უძველესი ამხანაგები სოციალ-დემოკრატები, რომელთაც თქვენთან ერთად გადაუტანიათ არალეგალურ ბრძოლის მთელი სიმძიმენი და შევიწროებანი რის მშრომელი დემოკრატია თქვენის სახით ძმურ პროლეტარულ სალამს უგზავნის რუსეთის მუშათა კლასს.

ძირს ყველა ოპორტიუნისტული პარტიები, რომელნიც შუღლს სთესენ პროლეტარიატის რიგებში!

გაუმარჯოს მუშათა კლასის მთლიანობას!

მარნის თემის ხე-ტყის ქარხნის [illegible]

ა. წ. 23 ივლისს შესდგა მარნის ხე-ტყის ქარხნის მენშევიკ მუშების კრება. კრებას დაესწრო ასამდე მუშა. ამ კრებას ესტუმრენ სენაკიდან ყოფილი მენშევიკები: კიმოთე შენგელია და დათიკო გოგიავა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ყოფილი მენშევიკი იორდანე პირტახია, მდივნად ისიდორე თელია, დღის წესრიგი; მე-2-ე და მე-3-ე ინტერნაციონალის შეფასება.

მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა კიმოთე შენგელიამ. მან დაასურათა, თუ როგორ მოატყუეს მენშევიკებმა ქართველი მუშები და ჩაითრიეს ისინი ნაციონალისტურ მოძრაობის ფერხულში და ასე ქართველი მუშების წითელი დროშა შესცვალეს ნაციონალურ სამფეროვან დროშით. ამხ. კიმოთე შენგელიამ ნამდვილი მუშური ენით აუხსნა მუშა-მენშევიკებს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა მუშათა კლასის საკეთილდღეოთ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში და ნათელჰყო პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა; განმარტა სრული უაზრობა მენშევიკების ცეკას ნაბიჯებისა, რომელიც მიმართულია ქართველ მუშების და მათი ინტერესების გამომხატველ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და მოუწოდა მუშებს გვერდში ამოუდგნენ კომუნისტურ პარტიას და ხელიხელ ჩაკიდებულნი დაიცვან მუშურ გლეხურ მთავრობა როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრ-რევოლიუციისგან და მათი ამყოლ მე-2-ე ინტერნაციონალს გამოუცხადონ ზიზღი ბურჟუაზიის ვექილობისთვის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ილაპარაკა ყოფილმა ძველმა მუშამენშევიკმა კოსტა პირტახიამ და სხვებმა. ყველამ გამოსთქვეს სურვილი მე-3-ე კომუნისტური ინტერნაციონალის შეერთებაზე. აღსანიშნავია ის, რომ ყველა მუშა მენშევიკებს ეტყობოდათ გულისწყრომა მენშევიკების ლიდერების მიმართ. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიც გმობენ მე-2 ინტერნაციონალის ღალატურ მოქმედებას და გამოსთქვამენ ერთგულებას ინტერნაციონალისადმი.

ვასკაპ.

ყოფილ მენშევიკების განცხადებანი

ასურეთის მშრომელებისაგან.

ჩვენ, ასურეთის რაიონის მშრომელნი, ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრნი, ვაცხადებთ ყველასათვის გასაგონათ, რომ მენშევიკების 3 წლის ბატონობამ საქართველოში დაგვანახვა სრული მათი პოლიტიკური სიკოტრე და მეზობელ მოძმეთა შორის ეროვნული შუღლი. უკეთებთ რა ანალიზს მათ მუშაობას, ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, არამც თუ ვირიცხებით დღეს გამყიდველ მენშევიკურ პარტიაში, არამედ პირველ გამოძახილისთანავე მზათა ვართ დავიცვათ ჩვენივე მოძმეთა სისხლით შეღებილი წითელი დროშა და საბჭოები.

გაუმარჯოს მთლიან პროლეტარულ ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ძლევა მოსილ წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს მე-3-ე კომინტერნს.

გაუმარჯოს კომუნიზმს.

1. დალაქიშვილი გიგუა 1917 წ. 2. თევდორაშვილი ალექსა გარსევანის ძე 1918 წ., 3 დონდეალი გიორგი მიხეილის ძე 1918 წ., 4. დარსაბაშვილი რ. 1917 წ., 5. დარსაველიძე სანდრუა გიორგის ძე 1917 წ. 6. კიკლაშვილი გოლა მიხეილის ძე 1917 წ., 7. ოჯუაშვილი ალექ. 1918 წ., 8. გიაშვილი ალექსი 1917 წ., 9. სედოფჭირაძე. 10. მიხაშვილი სოსიკო, 11. დარჩიაშვილი შაქრუა 1920 წ., 12. დარჩიაშვილი ს. 1917 წ., 13. თათულოვი არშაკა 1917 წ. 14. სუხიტაშვილი სანდრო 1918 წ., 15. მიხიშვილი სარქისა 1918 წ., 16. ხუდაევრდოვი გიორგა 1917 წ.

ამხ რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: ვირიცხებოდი რა სოც. დემ. მუშათა პარტიაში (მენშევიკურ) 1905 წ., მასთან უკანასკნელ დროს გაწყვეტილი მაქვს ყოველგვარი კავშირი. დღეს მე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო საჯაროდ, რომ ის დეკლარაცია, რომელიც ყოფ. მენშ. გამოაცხადეს თავიანთ კონფერენციებზე თბილისის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე რაიონებში, ჩემთვის სრულიად მისაღებია. უერთებ რა ჩემს ხმას ამ დეკლარაციას, საჭიროდ ვთვლი, რაც შეიძლება ჩქარა მოწვეულ იქნას ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრთა კონფერენცია საქართველოს მასშტაბით.

გაუმარჯოს ლენინს.

გაუმარჯოს ტროცკის.

გაუმარჯოს მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ი. მ. ნაცვლიშვილი.

პატივცემულო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით გამოვაცხადო შემდეგი:

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ, რომ 1900 წლიდან ვიდრე 1908 წლამდი მე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში. ამის შემდეგ პარტიაში არ ვმუშაობდი და ვითვლებოდი თანამგრძნობად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მე სრულიად ჩამოვშორდი მენშევიკურ პარტიას და უპარტიოთ ვითვლებოდი. ახლა, საქართველოში საბჭოთა წყობილების ორნახევარი წლის არსებობამ სავსებით დამარწმუნა, რომ კომუნისტური პარტია არის მუშებისა და გლეხების ინტერესების ნამდვილი გამომხატველი. ამიტომ მე ვგმობ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ ყველა პარტიების მუშაობას, თანაუგრძნობ კომუნისტურ პარტიას და ვაცხადებ, რომ მთელს ჩემს ძალღონეს და ენერგიას მოვახმარ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას.

ნეოფიტე გამცემლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფილ მენშევიკების ტფილისის საქალაქო კონფერენცია

დეკლარაციები

კონფერენციის დეკლარაცია

კონფერენციის 26 ივლისის სხდომას ხსნის ამხ. ფარნიევი. ის კითხულობს პრეზიდიუმის სახელით უკვე დამუშავებულ, წინათ საფუძვლათ მიღებულ დეკლარაციის ტექსტს.

ხმების უმრავლესობით (13 თავი შეიკავა) მიღებულია შემდეგი დეკლარაცია:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) სამი წლის მოღვაწეობამ და საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 2 წლის მუშაობამ ჩვენ დაგვარწმუნა შემდეგში:

1. ოქტომბრის რევოლიუციის შეფასებაში მენშევიკური პარტია არ აღმოჩნდა მართალი. ისტორიამ უკვე გაამართლა ძალა-უფლების გადასვლა მშრომელთა მასების ხელში.

2. მენშევიკური პარტიის ბრძოლამ ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ მიიყვანა ის ბრძოლამდი რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, და ამ პარტიის მტრული განწყობილება რუსეთის პროლეტარიატის მიმართ იყო დანის ჩაცემა ზურგში სისხლისაგან დაცლილ რუსეთის მუშებისადმი, რომელნიც ებრძოდენ, რევოლიუციის მონაპოვართა ჩახრჩობისაკენ მიმართულ კონტრ-რევოლიუციონურ ტალღებს.

3. გასწყვიტა რა კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, მენშევიკური პარტია ხელს უწყობდა ანტანტის იმპერიალისტებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რითაც უღალატა ბრძოლის პრინციპებს პროლეტარული საქმისათვის.

4. მისცა რა საქართველოში სრული ბატონობის უფლება ანტანტის იმპერიალისტებს, მენშევიკური პარტია არ ცდილობდა რომ დაკავშირებოდა რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც ჩვენთან დაუსრულებლივ ახლოა ვიდრე იმპერიალისტები.

5. მუშების და გლეხების ყოველგვარი მისწრაფება დაემყარებინათ კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, უმოწყალოთ იყო ჩახშობილი საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მიერ.

6. არ უწევენ რა ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ყოველგვარ ბრძოლას საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის გაძლიერებული რეაქციონურ მოძრაობის პირობებში, მუშათა კლასი და მისი მონაპოვარნი დაღუპვისაკენ და სოციალიზმის იდეის სახელის გატეხისაკენ მიყავს, მენშევიკები აქამდის განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ, რითაც ზედმეტ წყალს ასხამენ შავი რეაქციის წისქვილებზე.

ამიტომ კონფერენცია ადგენს:

1. იმ დროს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია თავს უყრის ძალებს შეუპოვარ ბრძოლაში შებმისთვის ემზადება მშრომელ მასებთან, როდესაც მთელი საზოგადოება ორ მოსისხლე ბანაკათ არის გაყოფილი, ჩვენ, რომელნიც ვიცავთ პროლეტარიატის ინტერესებს, არ შეიძლება სხვა არჩევა გვქონდეს გარდა იმისა, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ ბრძოლაში და მტკიცეთ ვიდგეთ მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

2. ვთვლით რა მენშევიკურ პარტიის პოზიციას ოქტომბრის რევო[illegible] პირობებთან შეუფერებლათ, [illegible] კავშირით შესძლებს ძალა უფლების თავის ხელში შენარჩუნებას.

3. ვთვლით რა ძველებულათ და სრულებით მიუღებლათ მიმდინარე რევოლიუციონურ ეპოქისათვის პრინციპს „სოციალიზმისაკენ დემოკრატიული გზით“, რაც აშკარათ დამტკიცდა რევოლიუციის მთელი მსვლელობით, კონფერენცია სავსებით სდგება პროლეტარიატის ბატონობის პლატფორმაზე.

4. ღრმად დარწმუნდით რა იმაში, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არის რეაქციონური ნაბიჯი, კონფერენცია მოუწოდებს იმ მენშევიკებს, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შეურიგდენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ნებასა და მის ბატონობას და ყოველის მხრივ მხარი დაუჭირონ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას მუშათა კლასის იდეალების სრული გამარჯვების ინტერესებისათვის.

5. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ყველა რაიონების ყოფილი მენშევიკების კონფერენციებმა დაშლილად გამოაცხადეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, კონფერენცია ამასთანავე დაშლილად აცხადებს მენშევიკურ ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელ ორგანოს თბილისის მასშტაბით და წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს საჩქაროდ ყოფილ მენშევიკების ყრილობა სრულიად საქართველოს მასშტაბით, ჩვენი შეხედულების კონკრეტიზაციისთვის მენშევიკური პარტიიდან გასულ ამხანაგების შემდეგი რევოლიუციონური მოღვაწეობაზე და მთელ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის არსებობის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!
გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!
გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

ყოფ. მენშევიკების ერთი ჯგუფის დეკლარაცია

სიტყვას იღებს ციხიდან გამოსული მენშევიკების ერთი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც კითხულობს შემდეგ დეკლარაციას:

ჩვენ, თბილისის მე-6 ე რაიონის ყოფილი მენშევიკები ვსდგევართ რა პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, მთლიანათ უერთდებით თბილისის მენშევიკების საქალაქო კონფერენციის დადგენილებებს.

საბჭოთა ხელისუფლების თითქმის სამი წლის არსებობამ ჩვენ დაგვიმტკიცა, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი მედგარი დამცველი მუშათა ინტერესებისა. ვსწყვეტთ რა ყოველგვარ კავშირს მენშევიკურ პარტიასთან, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მუშათა ინტერესების დასაცავათ.

1. გ. პირველი. პარტიის წევრი 1917 წ., 2. ტერლაძე მ. პარტიის წევრი 1903 წ., 3. ვ. ალიხანოვი პარტიის წევრი 1910 წ., 4. რ. გრიგოლოვი პარტიის წევრი 1903 წ., 5. ე. შუბლაძე პარტიის წევრი 1905 წ., 6. ნიკოლაი გამყრელიძე პარტიის წევრი 1905 წ., 7. დ. ვართანოვი პარტიის წევრი 1900 წ., 8. ქოჩლაძე პარტიის წევრი 1905 წ., 9. მ. ქოჩლაძე პარტიის წევრი 1905 წ., 10. ჩოკური გ. პარტიის წევრი 1905 წ., 11. სერაფიონ ჩიკვაიძე პარტიის წევრი 1917 წ.

ყოფ. მენშევიკების მეორე ჯგუფის დეკლარაცია

კონფერენციაზე შემოდის ყოფ. მენშევიკების მეორე ჯგუფი (4 კაცი), ციხიდან განთავისუფლებული, ჯგუფის წარმომადგენელი კითხულობს დეკლარაციას:

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი პოლიტიკური პატიმრები (მენშევიკები), მყოფნი № 2 გამასწორებელ სახლში, გავეცანით რა თქვენ მიერ ჩვენდამი მოწოდებას და იმ თეზისებს, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთებში ამხ. არჩილ რუხაძის მიერ, სავსებით ვიზიარებთ ზემოხსენებულ თეზისებს და მსგავსათ იმ 38 ჩვენი ამხანაგისა, რომელთაც ამა თვის 24 რიცხვს დასტოვეს მენშევიკური პარტია, აიღეს ნამდვილი გზა რევოლიუციისა და დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე,—ვსტოვებთ მენშევიკურ პარტიას და ვსდებთ რევოლიუციონურ ფიცს კონფერენციის წინაშე არ უღალატოთ მის მიერ სწორათ აღებულ რევოლიუციონურ გზას და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ გზას „პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმისაკენ“.

გაუმარჯოს მუშათა გამოფხიზლებას.

გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს.

გაუმარჯოს მე 3-ე ინტერნაციონალს,

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

1. მიხეილ პეტრეს ძე რუხაძე 1905 წ. მუშ. 2. გედევან სამსონის-ძე ხანიკიძე 1915 მუშ. 3) ნესტორ სილიბისტროს-ძე სიხარულიძე 1908 მუშ. 4 კონსტანტინე ექვთ ძე ახვლედიანი 1919 ინტელიგენტი.

თეზისები ნაციონალური საკითხის შესახებ

ვრცელ მოხსენებას ნაციონალურ საკითხზე აკეთებს ამხ. არჩილ რუხაძე.

კონფერენციამ მიიღო (სამმა თავი შეიკავა) შემდეგი თეზისები:

1. ერის განსაზღვრა.

1. ერი არის ადამიანთა განსაზღვრული ისტორიულათ წარმოშობილი ერთიანობა, ამასთანავე ერთიანობა არა გვარ-ტომობრივი, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ მაგ., იტალიის ერი წარმოიშვა რომაელებისა, გერმანელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისაგან და სხვ. საფრანგეთის ერი წარმოიშვა გალლებისა, რომაელებისა, ბრიტტებისა და გერმანელებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებზე და სხვა ერებზე.

2. ერი არ არის შემთხვევითი, ეფემერული კონგლომერატი, არამედ იგი არის ადამიანთა მტკიცე ერთიანობა, ვინაიდან შემთხვევითი ერთიანობა, როგორიც ამას ადგილი ჰქონდა კიროს და ალექსანდრე მაკედონელის დიდი სახელმწიფოების დროს, სრულიადაც არ არის ერი.

3. მაგრამ არა ყოველი მტკიცე ერთიანობა წარმოშობს ერს (ავსტრიის და რუსეთის მაგალითი), აქ საჭიროა ენის ერთიანობა, რაც არის ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. არ არის ერი, რომელიც სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორი სამი ერი არ ლაპარაკობდეს ერთ ენაზე.

4. ენის განსამარტავად საჭიროა ტერიტორიის ერთიანობაც. მთელ ქვეყნიერებაზე გაფანტული ერი არ არის შეკავშირებული ერის საერთო ინტერესებით.

5. ტერიტორიის ერთიანობის გარდა ერისათვის საჭიროა შინაგანი ეკონომიური კავშირი.

6. მაგრამ არც ყველაფერი ეს განსაზღვრავს ერს. ყოველივე ამას გარდა საჭიროა კიდევ სულიერ სახის და ფსიქიური ბუნების თავისებურება, რომელიც მუშავდება შთამომავლობიდან შთამომავლობაზე.

7. ამგვარად, მეცნიერება აწესებს ერის შემდეგ ნიშნებს: ენის, ტერიტორიის, ეკონომიურ ცხოვრების, ფსიქიური ბუნების ისტორიულათ დამყარებული ერთიანობა, რაც გამოიხატება კულტურის ერთიანობაში.

ყველა ამ ნიშნების ჯამი გვაძლევს ჩვენ ერს.

(სტალინი: „წერილთა კრებული ეროვნულ საკითხის შესახებ“. გვ. 7—11).

2. იქნება თუ არა ქართველი ერი

[illegible] ნი, ვინაიდან სუსტ ერს არ შეეძლო გაეძლო იმ ქარიშხლის და ორომტრიალისთვის, რომელიც განიცადა საქართველომ მთელი მისი არსებობის მანძილზე და თუ ამ ერს დღემდის არ დაუკარგავს თავისი ფიზიონომია, ეს აიხსნება იმით, რომ ადამიანთა ერთიანობა აქ არ არის შემთხვევითი, ეფემერული, არამედ არის მტკიცე.

9. ერის შემდეგი დამახასიათებელი ნიშანია — ენის ერთიანობა, ესეც გვაქვს.

10. გარდა ამისა ჩვენ აქ ვხედავთ ტერიტორიის ერთიანობასაც, შინაგან ეკონომიურ კავშირსაც და სულიერ სახის თავისებურებასაც.

11. თუ შპრინგერის თანახმად, „ჯამი ნიშნებისა, რომელიც ანსხვავებს ერთი ეროვნების ხალხს მეორე ეროვნების ხალხისაგან, და ფიზიკურ და სულიერ თვისებათა კომპლექსი, რომელიც ანსხვავებს ერთ ერს მეორისაგან“, ხოლო ბაუერის სიტყვით: „ერი არის ადამიანთა შეერთება, რომელნიც დაკავშირებული არიან ხასიათის ერთიანობის ბედის ერთიანობის ნიადაგზე“,—ამ მხრივაც საქართველო სავსებით აკმაყოფილებს ამ განმარტებას.

12. აქედან ცხადია, რომ საქართველოს აქვს სრული უფლება მოითხოვოს ყველა ის უფლებები და ისეთ პირობების შექმნა, რომელიც საჭიროა ერის სწორი განვითარებისა და სრულ-ყოფასათვის, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს მცირე ტერიტორიას, საჭირო არის იყოს მტკიცე კავშირი მეზობელ სოციალისტურ სახელმწიფოებთან და უმთავრესად რუსეთთან.

3. სოციალ-დემოკრატიის შეხედულება ეროვნულ საკითხზე რუსეთში.

13. ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე სხვა და სხვა ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში სხვა და სხვა ნაირი იყო და ამ შეხედულებამ თანდათანობითი ევოლიუცია განიცადა.

14. ჯერ კიდევ კაუცკი ეროვნულ საკითხის შესახებ რუსეთში 1906 წელში სწერდა: „სანამ სწარმოებს საერთო ბრძოლა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, მანამ არა მარტო რევოლიუციონურ ფენების საერთო ინტერესებს შეადგენს, რათა ეროვნული წინააღმდეგობა და პრობლემები შეძლების დაგვარათ იქნას მივიწყებული, არამედ მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესებსაც შეადგენს, რათა მის რიგებში სუფევდეს სრული ინტერნაციონალური სოლიდარობა. პროლეტარიატისთვის ეს სოლიდარობა გამოწვეულია არა მარტო მომენტის სიტუაციით, არამედ იგი არის აუცილებელი მისი ყოველდღიური ბრძოლისათვის.

15. რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყრილობამ (1903 წელს აგვისტოში), უარყო რა ფედერაციის პრინციპი, დაადგინა: „მცხოვრებთა უფლებას შეადგენს განათლების მიღება სამშობლო ენაზე, რაც იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს და თვითმართველობის ორგანოების ხარჯზე საჭირო სკოლების გახსნით, თვითეულ მოქალაქის უფლებას შეადგენს ილაპარაკოს კრებაზე თავის ენაზე“.

საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ყველა ადგილებში სახელმწიფო ენასთან ერთად სამშობლო ენის შემოღება; თვითგამორკვევის უფლება ყველა ერებისათვის, რომელნიც შედიან სახელმწიფოს შემადგენლობაში.

16. რუს. სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ (1906 წ. აპრილში) ასე ვსთქვათ დაამტკიცა ეს დადგენილება და წინადადება მისცა ყველა ეროვნულ სოც.-დემ. პარტიებს შეერთებულიყვნენ რუს. სოც. დემოკრ. პარტიასთან.

17. შემდეგ კულტურულ ავტონომიის მოთხოვნა (ლიკვიდატორების ყრილობა) არ იყო მისაღები სოც. დემ. პარტიისათვის.

18. ჩვენში, საქართველოში, 1917 წლამდე სოც. დემოკრატიული პარტია ყოველთვის უჭერდა მხარს რუსეთთან გაერთიანებას ჩვენთვის ფართო საოლქო თვითმმართველობის მინიჭების საფუძველზე.

4. თებერვლის რევოლიუცია. ოქტომბრის გადატრიალება და საქართველოს დამოუკიდებლობა.

19. რუსეთის ძველი რეჟიმის მიერ საუკუნოებით ჩაგრულმა და ექსპლოატაციის ქვეშ მყოფმა ერებმა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ პირველათ იგრძნეს ძალა და შეუტიეს საბრძოლველად მჩაგვრელებს.

20 რუსეთის განაპირა კუთხეები დაიფარენ ეროვნული დაწესებულებებით, ეროვნული საბჭოებით და ამგვარათ დაიწყო რუსეთის ეროვნულ სახელმწიფოებად დაშლის პროცესი.

21. ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელიც სახელმწიფოს მოექცა სათავეში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, შეცვალა ძველი ეროვნული ჩაგვრა ახალი ჩაგვრის კიდევ უფრო უხეში ფორმით. (ფინეთის სეიმის გარეკა, უკრაინის კულტურულ დაწესებულებათა დარბევა და სხვა).

22. კავკასიის სოციალ დემოკრატები ბურჟუაზიულ მთავრობის ამ გალაშქრებას ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ მექანიკურათ უწყობდნენ ხელს, გამოდიოდნენ რა ისინი ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის [illegible] იყო მისთვის ანგარიშის გაწევა.

23. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გამოწვეული ეროვნული მოძრაობა დასრულდა ოქტომბრის გადატრიალებით, როდესაც გამოცხადებულ იქნა მშრომელთა მასსების, ჩაგრულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და აღიარებულ იქნა ფინეთის დამოუკიდებლობა.

24. ქართველი სოც.-დემოკრატია, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ავტონომიას და ფედერაციას, ოქტომბრის გადატრიალების და ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ, ერთბაშად იცვლის ფრონტს და მხარს უჭერს ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რათა თავიდან აეცილებია ბრესტის ხელშეკრულება და გამიჯნულიყო ოქტომბრის რევოლიუციისაგან.

25. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ გამოცხადებამ, რასაც ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიალისტური მთავრობა, არა თუ გვიხსნა ჩვენ ბრესტის ზავის ერთ მთავარ მუხლის შესრულებიდან (ოსმალეთზე გადაცემა ბათომის, ყარსის და არდაგანის), არამედ დაყო ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკათ და ამავე დროს საქართველოს გაუკეთეს ოკუპაცია გერმანიის ჯარებმა, ხოლო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები საზავო ხელშეკრულების მახედვით გადავიდენ ოსმალეთზე.

26. რამდენადაც ჩვენთვის ხელსაყრელი იყო საქართველოს გამოცხადება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, რომ ოსმალეთისაგან არ ვყოფილიყავით დაპყრობილნი, იმდენათ ამ ჩამოშორებამ რუსეთიდან მოგვცა მინუსები რუსეთის პროლეტარიატისაგან სრულებით მოწყვეტის სახით.

27. განხეთქილება ქართველ და რუსეთის პროლეტარიატს შორის თანდათან იზრდება და ღრმავდება. მაგრამ ამ განხეთქილების თავიდან ასაშორებლათ ზომებს სერიოზულათ არ იღებდა არც ერთი მხარე.

28. ოქტომბრის რევოლიუცია, რომელიც დაიწყო ცენტრში, პირველსავე დღეს გავრცელდა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და უახლოვდებოდა რა განაპირა კუთხეებს თანდათან ედებოდა მათ.

29. რამდენადაც ოქტომბრის რევოლიუციის ტალღა უახლოვდება საქართველოს, ეროვნული თვითდაცვის გრძნობა თანდათან ძლიერდებოდა საქართველოში, სოციალ-დემოკრატია სულ უფრო ამაგრებდა თავის პოზიციებს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის პლატფორმაზე, ბევრი ხედავდა რა სოციალისტურ ხელისუფლების მოახლოებაში ძველ მჩაგვრელებს და იყო რა შეპყრობილი ძველი შიშით, როგორღაც ინსტიქტიურად გაურბოდა მას, ასეთ განწყობილებას ხელს უწყობდა მენშევიკური მთავრობა იმ აზრით, რომ შემოეფარგლა თავი ოქტომბრის რევოლიუციიდან.

30. გავემიჯნეთ რა რუსეთის პროლეტარიატს, ჩვენ აღმოვჩნდით ანტანტის იმპერიალისტების ხელში, რომელნიც ბატონობდენ აქ ისე, როგორც თავის სახლში.

31. არსებითად სრული დამოუკიდებლობა ჩვენ არ გვქონია, ჩვენ ანტანტის ქვეშ ვიყავით და ჩინური კედლით გამოვეყავით რუსეთის პროლეტარიატს.

32. რუსეთის პროლეტარიატთან კი ჩვენ უფრო ჩქარა დავიცავდით დამოუკიდებლობას, ვიდრე ანტანტასთან, მაგრამ ჩვენი შეცდომა იმაში იყო, რომ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის პროლეტარიატის სახეში ჩვენ რატომღაც ჩვენი ერის ძველი მჩაგვრელები წარმოვიდგინეთ.

33. ჩვენი ხაზი ეროვნულ საკითხის შესახებ გადახრილი იყო იმ მხარეზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და ხელსაყრელი იყო იმპერიალისტებისათვის: რუსეთის პროლეტარიატისგან ჩამოშორება და ანტანტის იმპერიალიზმთან კავშირი.

34 ანტანტას, სცნობდა რა ის საქართველოს დეფაქტოთ და დეიურეთ, განსაზღვრული მიზანი ჰქონდა—მიეღო ამისთვის კომპენსაცია თავის ინტერესების დაკმაყოფილებს მხრივ აღმოსავლეთში.

35. ამიტომ ანტანტასთან კავშირის გაწყვეტის პრინციპი და რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნიადაგზე, ხშირათ წამოჭრილა ჩვენს პარტიაში.

5. ეროვნული მოძრაობა და პროლეტარიატის როლი მასში.

36. ეროვნულ მოძრაობაში მთავარი მომქმედი პირია ბურჟუაზია.

37. მხოლოდ ბურჟუაზიული წესწყობილების განვითარების დროს, ახალ ბაზრების ძებნის პირობებში, ჩვენ ვამჩნევთ ეროვნულ მოძრაობის ზრდას, რომელშიც ხშირათ ჩაბმული არიან დაბალი ფენებიც.

38. მბრძანებელი ერის ბურჟუაზია ყოველთვის უსწორდება უცხოეთის ბურჟუაზიას სკოლების შემცირების, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ენის დევნის და სხვა სახით.

39. ეს შევიწროება სამძიმოა ჩაგრული ერის პროლეტარიატისათვისაც -ამის გამო პროლეტარიატიც ებმის ამ ბრძოლაში მისი კლასიური [illegible]

40. [illegible] ხელში ძალა-უფლების გადასვლას შეუძლია ბოლო მოუღოს ეროვნულ შუღლს.

6. ეროვნული საკითხი საქართველოში.

41. საქართველოში წინეთ რელიეფურათ სჩანდა ანტი-სომხური ნაციონალიზმი. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ სომხური მსხვილი ბურჟუაზია კლავდა ქართულ, წვრილ ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ბურჟუაზიას და ამით ხელს უწყობდა მის გადახრას ანტი-სომხურ ნაციონალიზმისაკენ.

42. სომხური ბურჟუაზიის სიძლიერის მიზეზით ცარიზმის დროს თბილისის საბჭოში 1916 წელს ქართველებს ყავდათ—17,6 პროც. ხმოსნები, სომხებს 56,6 პროც.; დანარჩენ ერებს —25,9 პროც. იმ დროს, როდესაც ქართველები საერთოდ მოსახლეობის 25 პროც. შეადგენდენ, მათ საბჭოში ყავდათ მხოლოდ 17,6 პროც. ხმოსნები.

43. 1907 წ. ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა შემადგენლობა ასეთი იყო: სომხები 50,8 პროც., ქართველები—23,1 პროც., რუსები 20,8 პროც. დანარჩენი ეროვნება 5,3 პროცენტი.

44. რევოლიუციისა და პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების ხელში აღების შემდეგ ეროვნულ ჩაგვრას ბოლო მოეღო. 1923 წელს თბილისის საბჭოში ქართველები შეადგენენ—43,4 პროც., სომხები—19,4 პროც., რუსები—26,1 პროც., სხვა ეროვნებები—11,1 პროცენტს.

45. თუმცა ეხლაც ვერ არის საკმაოთ დაცული პროპორცია, თბილისის მოსახლეობა ამ ჟამად შემდეგ სურათს წარმოადგენს: ქართველები—34,7 პროც., სომხები—36,6 პროც., რუსები—16,5 პროც., დანარჩენი ეროვნებები—12,2 პროც., მაგრამ მოსახლეობის საერთო რიცხვიდან თუ გამოვაკლებთ არამშრომელ ელემენტს, რომელიც მოკლებულია უფლებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მაშინ წარმომადგენლობა საბჭოში ცოტათ თუ ბევრად სწორი გამოდის და ყოველ შემთხვევაში აქ არ არის ქართველი ერის უფლებების შეკვეცა და შევიწროება.

საქართველოს დედა ქალაქის აღმასკომის მოსამსახურეთა შემადგენლობა კი ეხლა ასეთია: ქართველები 61 პროც., სომხები 19 პროც., რუსები 11 პროც., დანარჩენი ეროვნებები 9 პროც.

46. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს სახელმწიფო ენათ ცნობილი ქართული ენა საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით კი რუს. კომ. პარტიის 12 ყრილობის შემდეგ, უფრო მეტი სიმტკიცით ტარდება, ვიდრე ოდესმე.

47. თუ გადავალთ მუშებისა და მოსამსახურეების შემადგენლობაზე, რომელნიც საქართველოს წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობენ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ აქაც არ არის ეროვნული ჩაგვრა. ასე, საქართველოს 76,672 მუშა-მოსამსახურეებიდან ქართველები არიან—50,8 პროც., სომხები—20,0 პროც., რუსები—19,2 პროც., დანარჩენი ეროვნებები—10 პროცენტი.

თბილისში კი, კერძოთ, 40,843—მუშა მოსამსახურეებიდან — ქართველებზე მოდის—37,1 პროც. სომხებზე 28,7 პროც. რუსებზე—23,6 პროც. დანარჩენ ეროვნებებზე 10,6 პროც.

48. აქედან აშკარაა, რომ საქართველოში ადგილი არ აქვს ქართულ ელემენტის განდევნას დაწესებულებებსა და წარმოებებიდან, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ მუშათა კლასის მტრები.

7. როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ეროვნულ საკითხზე.

49. 1913 წ. ლენინი სწერდა: „იმისათვის, რომ სხვა და სხვა ერები თავისუფლათ და მშვიდობიანათ სცხოვრობდენ ერთმანეთთან, ან და შორდებოდნენ ერთმანეთს (როცა მათთვის ეს ხელსაყრელია) სხვადასხვა სახელმწიფოების დაარსებით, ამისთვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რომელსაც მუშათა კლასი იცავს. არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას, არავითარი შევიწროება, არავითარი უსამართლოება ეროვნულ უმცირესობისადმი,—აი პრინციპი მუშათა დემოკრატიის“.

ეს პრინციპი სავსებით მისაღებია ჩვენთვის.

50. ძველი რუსეთი ჩვენ გვავიწროებდა, ამიტომ რუსეთის სოციალისტების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას და განმტკიცებას. ამავე დროს მათ უნდა ებრძოლონ ყოველგვარ „ველიკოდერჟავულ“ ტენდენციების ნაშთებს, რაშიაც არ უნდა გამოიხატოს ეს ტენდენციები. თავის მხრით საქართველოს სოციალისტები მოვალენი არიან ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ იმ იდეის გავრცელებას, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მჭიდროთ დაუახლოვდნენ და დაუკავშირდნენ საბჭოთა რუსეთის მუშებს და გლეხებს და ებრძოლონ ადგილობრივ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს.

51. რევოლიუციას არ შეუძლია არ მისცეს ფართო უფლებები სრულ დამოუკიდებლობამდისაც კი წინეთ დაჩაგრულ ერებს.

გერმანელ მუშების რევოლიუციონურ მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით მარქსი ჯერ კიდევ 1848 [illegible] გამარჯვებულ დემოკრატიას გამოეცხადებია იმ ხალხთა თავისუფლება, რომელნიც გერმანელების მიერ იყვნენ დაჩაგრულნი; სწორეთ ინგლისელ მუშების რევოლიუციონურ ბრძოლის თვალსაზრისით მარქსი 1869 წელს მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას ინგლისისაგან.

ოპორტიუნისტებისა და ბურჟუაზიულ რეფორმისტების საწინააღმდეგოთ, რომელთა მცირე ერების გამოყოფის თავისუფლება უტოპიურათ და განუხორციელებლათ მიაჩნდათ, მარქსმა წამოაყენა მცირე ერების გამოყოფის თავისუფლება და ყველა ქვეყნების პროლეტარების კავშირი ერთა თანასწორობის ნიადაგზე.

52 მაგრამ შეუძლიათ გვიპასუხონ, რომ პროლეტარიატის ხელისუფლების დროს არ არის საჭიროება ეროვნულ განცალკევებაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინტერნაციონალური კულტურა არ არის ინნაციონალური კულტურა, რომელიც არ უნდა იყოს არც რუსული, არც ქართული, არც სომხური, არც პოლონური და ხოლო წმინდა კულტურული უნდა იყოს,—უაზრობა.

53. ინტერნაციონალურ იდეებს შეუძლიათ ახლოს იყვნენ მუშათა კლასთან მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი შეგუებული არიან იმ ენასთან, რომელზედაც მუშა ლაპარაკობს და იმ კონკრეტიულ ეროვნულ პირობებთან, რომელშიაც ის სცხოვრობს.

54. ქართველ ერის გულში მრავალი წლის ჩაგვრამ მწარე მოგონებები დასტოვა. თითეული სხვა პირობებში უმნიშვნელო ფაქტი, რომელიც ქართველი ერის ნაციონალურ გრძნობას ლახავს, საყოველთაო ნაციონალურ აღშფოთებას იწვევს. ამიტომ საქართველოში ნაციონალური საკითხი ფრთხილათ და წინდახედულათ მიდგომას საჭიროებს.

55. ამიტომ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ამ ნაციის შევიწროებასთან ვისი მხრითაც არ უნდა იყოს ეს და რაშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს ეს შევიწროება.

ამავე დროს უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე შევიწროებითი ტენდენციებს ქართველების მხრითაც საქართველოს სხვა ეროვნებათა მიმართ.

56 ამასთან ერთად უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართველი ერის მშრომელი მასების თავისუფალ განვითარებას, თავისუფალ სახელმწიფო არსებობის და თანასწორობის საფუძვლებზე.

57. საბჭოთა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათათვის, რომლებიც არ არიან ორგანიზაციულათ მოწყობილნი სახელმწიფოებრივ ერთეულებში (ავტონომიური და ხელშეკრულობითი საბჭოთა რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და სხვა), უნდა შეიქმნეს ასეთ პირობებში (სკოლა, ენა და სხვა), რომ ისინი გრძნობდენ თავს სრულიათ თანაბარ უფლებიან ერთეულებათ.

58. ვდგევართ რა ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, ჩვენ ვიცით, რომ თვითეული ერი, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, საერთო ინტერნაციონალურ ოჯახში შევა და შეიქნება ამ ოჯახის თანასწორუფლებიან წევრი იმ შემთხვევაში, თუ ის განავითარებს ეროვნულ კულტურას. ეროვნული კულტურის განვითარება კი შეიძლება მხოლოთ იმ პირობებით, თუ ერი განთავისუფლდება ნაციონალური ჩაგვრისაგან და მას მიეცემა დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობის უფლება.

59. იმ დროს, როცა კაპიტალისტური რეაქცია ირაზმება და ჩვენ ალყა გვარტყია იმპერიალისტებისაგან, საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა წარმოსადგენია მხოლოდ მჭიდრო სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკურის კავშირის ფორმებში ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან.

60. ვიზიარებთ რა რუსეთის კომ. პარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებებს ნაციონალურ საკითხზე, საჭიროდ ვსცნობთ, რომ ის არ უნდა დარჩეს ქაღალდზე, არამედ სასწრაფო წესით უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

61. რუსეთის წითელი ჯარი საქართველოში მოვიდა არა დაპყრობითი მიზნებით, არამედ მუშათა და გლეხების ხელისუფლების დასამყარებლად და საქართველოს განსათავისუფლებლად უცხო ქვეყნის იმპერიალისტების აქ ფარფაშიდან.

ამიტომ რუსეთის წითელი ჯარის აქ ყოფნა ჩვენ მიგვაჩნია დროებითი მოვლენად.

როცა ხელისუფლება გამაგრდება მუშებისა და გლეხების ხელში და მოეწყობა საქართველოს ჯარი, რუსეთის წითელი ჯარი, ჩასთვლის რა შესრულებულად თავის მისიას, დაუბრუნდება თავის ტერიტორიას. ეს მომენტი ახლოა.

ჯარი, რომელმაც ბოლო მოუღო აქ უცხო ქვეყნის იმპერიალისტების ბატონობას და დაამყარა მშრომელი მასის ხელისუფლება, ჯარი, რომელიც შორსაა დაპყრობითი მიზნებისაგან, არ შეიძლება ჩაითვალოს საოკუპაციო ჯარად და არც სთვლიან მას ასეთად საქართველოს მუშები და გლეხები.

მიმართვები

ამის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი მიმართვები:

საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

ამხანაგო მუშებო! ყოფილი მენშევიკების საერთო საქალაქო კონფერენციამ **დაადგინა** დაშალოს მენშევიკური ორგანიზაცია და დადგეს მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბრალს გვდებს ჩვენ იმაში, ვითომ ჩვენ ვსტოვებდეთ მენშევიკურ პარტიას საგანგებო კომისიის ზეგავლენით, რეპრესიული ზომების შიშის გამო.

ამხანაგებო! ჩვენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე ზიზღით უარყოფთ ამ ბრალდებას. საქართველოს მენშევიკური პარტიიდან გარბიან არა ერთეულები, არამედ პროლეტარიატის და გლეხების მასსები; მას ზურგს აქცევს დიდი უმრავლესობა მუშებისა, რომელნიც მრავალ წლების განმავლობაში ჯერ კიდევ მეფობის დროს აწარმოებდნენ არა-ლეგალურ მუშაობას. არავის შეუძლია ბრალი დასდოს ამ მასსებს, რომელთაც უამრავი მსხვერპლი გაიღეს რევოლიუციურ ბრძოლაში და რომელნიც არ უშინდებოდენ მეფობის დროს არც კატორღას და არც დახვრეტას, ვითომც ისინი ღალატობენ თავის პოლიტიკურ რწმენას შიშის გამო.

მუშები და გლეხები სწავლობენ არა აკადემიებში, არამედ პრაქტიკულ ბრძოლის სკოლაში და სწორედ ამ სკოლაში პრაქტიკაზე დავრწმუნდით, რომ ჩვენ აწი მენშევიკურ პარტიაში ადგილი არა გვაქვს. ამ პარტიამ, რომელიც პირველი რუსეთის რევოლიუციის დროს, როდესაც ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობასთან, დაიმსახურა საპატიო დაფნის გვირგვინი, მსოფლიო ომის დროს მთელ მე-2-ე ინტერნაციონალთან ერთად თავის დროშა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ქვეშ დაანარცხა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი საქართველოს მენშევიკური პარტია უკვე ცხადად დაადგა კონტრ-რევოლიუციის გზას, ეფარებოდა რა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშას. შევადარეთ რა მენშევიკური მთავრობის მოქმედება საქართველოში საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, ჩვენ დავრწმუნდით, რომ პირველი აბამდა მას (საქართველოს) ბურჟუაზიის რკინის უღელში და მეორეს კი გამოყავს იგი ჭეშმარიტი სოციალიზმის ფართო გზაზე; ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, ჩვენ გადავსწყვიტეთ დავსტოვოთ მენშევიკური პარტიის რიგები.

ჩვენი ყოფილი მენშევიკი—ლიდერები, რომელნიც საზღვარ-გარეთ გაიქცნენ, ავრცელებენ იქ ხმებს, ვითომ მოსკოველ ბოლშევიკებს იმპერიალისტური მიზნებით დაეპყროთ საქართველო, ძალით აეღოთ ის წითელი არმიის საშუალებით და მოესპოთ მისი დამოუკიდებლობა, და პარტიები მე-2 ინტერნაციონალისა ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ ამ ზღაპრის გავრცელებას, რომ დაეფთხოთ დასავლეთ ევროპის მუშები და ჩამოეშორებინათ ისინი კომუნისტებისათვის.

ამხანაგო მუშებო! იცოდეთ, რომ ამ ზღაპარში ხელოვნურად და თვალთმაქცურათ არის არეული ერთმანეთში სიმართლე და ჭორი.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, ერთის მხრივ, გიმალავენ თქვენ, რომ ისინი ოქტომბრის გადატრიალებამდე დიდი რუსეთის პატრიოტები იყვნენ, (რითაც ისინი სხვავდებოდენ ბოლშევიკებიდან), რომ მხოლოდ ისინი იცავდენ დიდი რუსეთის მთლიანობის აზრს, რომ ისინი წინააღმდეგნიც კი იყვნენ რუსეთის რესპუბლიკის ფედერატიულ საფუძვლებზე მოწყობისა, ისინი ბრალს სდებდნენ ლენინს მის „პორაჟენცობაში“, ვინაიდან ის მხარს უჭერდა და დახმარებას უწევდა რუსეთის დანაწილებას, მოითხოვდა მისცემოდა რუსეთის ჩაგრულ ერებს „უფლება თვითგამორკვევისა, თვით სრულ გამოყოფამდე“. საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირეს ჩვენმა ლიდერებმა მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და მხოლოდ იმიტომ, რომ გამიჯვნოდენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამასთან ერთად არ მალავდენ, რომ როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდება, საქართველო ისევ შეუერთდება რუსეთსო.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, მეორე მხრით, გიმალავენ თქვენ, ამხანაგებო, რომ მენშევიკური პარტიის ბატონობის დროს საქართველო სარგებლობდა დამოუკიდებლობით მარტო ქაღალდზე: ქართველი მენშევიკები მოქმედობდნენ პირველათ გერმანელი გენერლების ჩაგონებით, რომელნიც აფარებდნენ თავის კალთას ქართველ მემამულეებს, და შემდეგ კი ინგლისელ გენერლების ჩვენებით, რომელნიც ურიგდებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენშევიკური მთავრობა დახმარებას უწევდა ანტანტას საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, ხელს უწყობდა რა საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინის და ვრანგელის ლაშქრებისათვის რაზმების შედგენას.

ჩვენი ყოფილი მენშევიკი—ლიდერები, მესამე მხრით, სტყუიან, როდესაც ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ბოლშევიკებმა იმპერიალისტური მიზნებით დაიპყრეს საქართველო. ჩვენ ვიცით, რომ სწორეთ მოსკოვის ბოლშევიკები—ლენინი და ტროცკი წინააღმდეგნი იყვნენ წითელი ლაშქრის საქართველოში შემოყვანისა. წითელი ლაშქრის საქართველოში შემოყვანა ითავეს თვით ადგილობრივმა ქართველმა ბოლშევიკებმა, რომელთაც თავის მოსკოველი ამხანაგები შესრულებულ ფაქტის წინაშე დააყენეს, და მოიმოქმედეს ეს მათ, როგორც ჩვენ დღეს ვიცით, თავის სამშობლოსადმი სიყვარულის გამო: ქართველ ბოლშევიკებს არ შეეძლოთ მოეთმინათ, რომ საქართველო, რომელსაც ასეთი სახელოვანი რევოლიუციონური წარსული ჰქონდა, გადაქცეულიყო კონტრ-რევოლიუციის იარაღათ, იარაღათ იმპერიალისტური მახინაციებისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვა და სხვა ნაციების ქიშპობის ასპარეზათ.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, მეოთხეთ, და უკანასკნელათ, სრულებით ამახინჯებენ საქართველოს გასაბჭოების შედეგებს. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, ჩამოაშორა რა საქართველო საბჭოთა რუსეთს, მით მოუსპო საქართველოს საჭმელი პური და დაამშია ის. დღეს საქართველოს მუშები და გლეხები ისევ უზრუნველყოფილი არიან პურით და მათ არ შეაშინებთ სიმშილის აჩრდილი. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომლის წევრები რუსეთის თვითმპყრობელურ პატრიოტებიდან უეცრად საქართველოს თვითმპყრობელურ პატრიოტებათ—შოვინისტებათ იქცნენ, დაბადა აქ ნაციონალური განხეთქილება და საფუძველი ჩაუყარა დაუსრულებელ საურთიერთო ბრძოლას ქართველებს, სომხებს, აფხაზებს და აჭარლებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ამ ბრძოლას და დაამყარა ამიერ-კავკასიის ერთა შორის მშვიდობიანობა. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ შეკრა რა ერთიანი ფრონტი ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ეგრედ წოდებულ, „რუს ბარბაროსთა“ წინააღმდეგ, ვერ გაბედა გადაწყვეტით გატარებია თავის საკუთარი საშუალო აგრარული პროგრამა. საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი ლაშქრის ერთი წლის შემოსვლის შემდეგ საქართველოში ჩამოართვა მემამულეებს მიწა და მისცა იგი გლეხებს. საქართველოს მენშევიკური მთავრობის დროს 8 საათის სამუშაო დღე შემოღებული იყო მხოლოდ ქაღალდზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მუშები ყველგან რვა საათს მუშაობენ, იქ კი, სადაც მუშაობის პირობები განსაკუთრებით მძიმეა—სამუშაო დღე შემცირებულია 6 საათამდე.

ჩვენი ყოფილი ლიდერები გვაშინებდნენ ჩვენ, რომ თუ შემოვიდნენ ბოლშევიკები, ისინი ცეცხლითა და მახვილით მოსპობენ მთელ ქვეყანასო, და გაანადგურებენ საქართველოს და მის კულტურასო. რა დავინახეთ სი-